51
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 26 (1042)
შაბათი, 11 მარტი, 1995 წელი.
ფასი 200 000 კუპონი.

ედუარდ შევარდნაძე კოპენჰაგენს გაემგზავრა

10 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწი ოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე კოპენჰაგენს გაემგზავრა, სადაც ნაწილეობას მიიღებს იქ მიმდინარე უმაღლესი დონის მსოფლიო ხვედრაში, რომელსაც მართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ოციალური განვითარების ინტერესებისათვის.

ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება არის გაერთიანებული ერების ორგა საციის" ეგიდით განვითარების ათი წლისთავისადმი მიძღვნილი რვა ნფერენციიდან კომპლექსის ერთ-ერთი ელემენტი. გაერთიანებული ების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბუტროს-ბუტროს ღალის რით, დანიის დედაქალაქში მიმდინარე მსოფლიო სამიტის მთავარი ანი უნდა იყოს სტრატეგია, რომელიც საფუძველს ჩაუყრის ერთო ვ მოქმედებას სოციალური პროგრესის, განვითარებისა და მშვი ის ინტერესებისათვის, რომელსაც „უაღრესად დიდი მნიშვნელობა ვს იმის აღიარებისათვის, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს საერთო ტერესი დაეხმაროს ერთმანეთს ამ მიზნების მიღწევაში".

კოპენჰაგენის შეხვედრაზე განსახილველი პრობლემებია: სიღატაკე, უმუშევრობა, სოციალური დეზინტეგრაცია. როგორც საქინფორმის კო პონდენტს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სიის ხელმძღვანელმა თეოდორ სტარჩევიჩმა ინტერვიუში განუცხადა, ეს უაღრესად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვისაც. ამი ტომაც არის მიწვეული სამიტზე მოხსენების გასაკეთებლად ედუარდ ევარდნაძე.

საქართველო-რუსეთი:

ხელი მოაწერეს დოკუმენტებს საზღვრების ერთობლივ დაცვაში თანამშრომლობის შესახებ

9 მარტს თბილისში ჩამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის ფედერალუ სასაზღვრო სამსახურის დირექტორი, გენერალ-პოლკოვნიკი ანდრია ლაევი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის ტუხოვი. საქართველოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ან რია ნიკოლაევს და პირისპირ ესაუბრა მას. ასეთივე შეხვედრა გაი რთა ბორის პასტუხოვთან. განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება ზღვრების ერთობლივ დაცვაში ორი ქვეყნის თანამშრომლობას.

ამ საკითხთა გამო მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი გაფარ ებული შემადგენლობის შეხვედრაზე, რომელშიც აგრეთვე მონაწი ეობდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, მისი მო გილე ავთანდილ მარგიანი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტ ი ალექსანდრე ჩიკვაიძე, საქართველოს ფინანსთა მინისტრი დავით აკობიძე, საქართველოს სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის უფრო ი, რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების სარდალი ვალერიან ჩხეიძე, სა ართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში ვაჟა ორთქიფანიძე, რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქა რთველოში ვლადიმერ ზემსკი და სხვა ოფიციალური პირნი. გამარ თული მოლაპარაკების შედეგების მიხედვით მხარეებმა ხელი მოაწე რეს ოქმებს, რომლებიც არეგლამენტებენ საზღვრების დაცვაში ორი ეზობელი სახელმწიფოს თანამშრომლობას, მის მატერიალურ-ტექ ნიკური და საკადრო უზრუნველყოფის საკითხებს.

დოკუმენტების ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ გაიმართა სახელ დახელო პრესკონფერენცია. უპასუხა რა ჟურნალისტთა კითხვებს, ედუარდ შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა მიღწეულ შეთანხმე ბს, აღნიშნა, რომ ისინი საქართველოს შესაძლებლობას მისცემენ ყოს თავისი საზღვრების საიმედო დაცვა. საქართველოს მე რი გაიზიარეს გენერალ-პოლკოვნიკმა ანდრია ნიკოლაევმა ორის პასტუხოვმა, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ხელ ილი დოკუმენტები ასახავენ ქვეყნის სტრატეგიული თანამშრო ერესებს და პრაქტიკულად განაგრძობენ გასული წლის [illegible] დადებული საქართველო-რუსეთის ყოვლისმომცველ ხელ [illegible]

ხვედრები სახელმწიფოს მეთაურთან

მარტს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნა მიიღო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სა თველო ბერნარ ფასიე.

ატონმა [illegible] ისაუბრა ევროგაერთიანების ეგიდით დაგეგმილი სამ დობო „კეთილი ნების" ოპერაციის განხორციელების შესახებ. [illegible] მან თქვა, რომ ამიერკავკასიაში სატრანზიტო მოძრაობის გახს დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რეგიონში არსებული ეკონომიკური პოლიტიკური პრობლემების მოგვარებისათვის. ბატონმა ფასიემ ნიშნა, რომ ამ ოპერაციას ცალკეული, დაპირისპირებული მხარეები მოიყენებენ პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად, მისი ა. 23 მარტს, ბრიუსელში გაიმართება ევროპის 15 სახელ ოს მთავრობების მეთაურთა შეხვედრა, რომელზედაც კიდევ ერ დეტალურად განიხილავენ სამშვიდობო „კეთილი ნების" ოპე ის განხორციელების საკითხებს.

ელმწიფოს მეთაურმა გამოხატა საქართველოს ხელისუფლების ი პოზიცია სამშვიდობო ოპერაციაში ჩვენი ქვეყნის მონაწილე ა და მხარდაჭერის შესახებ და აღნიშნა, რომ საქართველო დაინ ესებულია სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებით, რადგან კავკასიაში პოლიტიკურ სტაბილიზაციას და ეკონომიკურ აღმავლ საისებო მნიშვნელობა აქვს სამივე სახელმწიფოსათვის.

• • •

მარტს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნა მიიღო აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გულიევი და ეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი შახბაზიანი, ევროკომისიის სა ო ეკონომიკური ურთიერთობის კომისიის გენერალური დირექტ ბატონი პეტერსი. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს რეს იკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია და საფრანგეთის საგან და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბერნარ ფასიე.

ტონებმა გულიევმა და შახბაზიანმა ისაუბრეს ევროგაერთიანების ით სამშვიდობო „კეთილი ნების" ოპერაციის მნიშვნელობის შესა [illegible], ითქვა, რომ ამ ოპერაციაში ერთიანი ძალისხმევით დაპი რებულ მხარეებს საშუალება ეძლევათ, გამონახონ საერთო ენა, უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია მათ ურთიერთობაში.

ხვედრაზე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ევროგაერთიანების პოზიცია მნული ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა ევრ რთიანებას იმ ძალისხმევისათვის, რომელსაც ის იჩენს კავკასიის ონში კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით მოგვარების ში, ჰუმანური დახმარების გაწევისათვის.

ტონმა ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთის იტორიაზე გამავალი სატრანსპორტო მაგისტრალების ამოქმედება კავკასიის სამივე რესპუბლიკისათვის აუცილებელია.

ხვედრაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერმა კმაყოფილება თქვა იმის გამო, რომ საქართველოში, კერძოდ, თბილისში, მკვე დ იგრძნობა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის ნიშ ი. დასასრულს, მან თხოვნით მიმართა საქართველოს სახელმწიფოს ურს, მხარი დაუჭიროს აზერბაიჯანის ძალისხმევას სარკინიგზო მო აობის აღდგენის საქმეში.

ართველოს მაშველთა კორპუსის მჯდომარის გიგა გელაშვილისა და იდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის მძღვანელის — სახელმწიფოს მეთაურის უნებულის ლევან მამალაძის — ერთობლივი ანცხადება

როგორც მაშველთა კორპუსი, ასევე სახელმწიფოს მეთაურის რწმუ ბულის ინსტიტუტი დღეს ჩამოყალიბების ურთულეს პროცესშია და ვად ქართული სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელი სახელმწი სტრუქტურების მსგავსად მძიმედ, მაგრამ მაინც იმკვიდრებს სა არ სახეს და დანიშნულებას, ეს პროცესი წარმოუდგენელია ფარ საზოგადოებრიობის, პოლიტიკური ძალების, საქართველოს მთელი ლეობის ინტერესებისა და ჭირვარამის გაუთვალისწინებლად.

ლმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ვაცხადებთ, რომ ჩვენი დავუშვებთ 1995 წლის 8 მარტს რუსთავში მომხდარი ფაქ ტიზაციას და ორი სახელმწიფო სტრუქტურის დაპირისპი მელიც ნებისმიერ შემთხვევაში გახდებოდა საქართველოში დესტაბილიზაციის წყარო.

ოს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად მოწოდებული ნე ახელმწიფო სტრუქტურა უნდა მოქმედებდეს ურთიერთშე ლად და კოორდინირებულად. სწორედ აქეთ იქნება მიმარ ჩვენი ძალები და მონდომება.

გია გელაშვილი,
ლევან მამალაძე.

ჩვენ ვერ შევურიგდებით სეპარატისტთა მიერ შეკოწიწებულ დამნაშავე რეჟიმს!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

განცხადება

როგორც მასობრივი ინფორმაციის წყაროებიდან გახდა ცნობილი, აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებათა შესახებ უკვე არავითარი აზრი არა აქვს, რადგან იმ დეპუტატებმა, რომლებიც ამჟამად საქართველოში იმყოფებიან (თითქოს ადრე სხვაგან იმყოფებოდნენ), ჩაიდინეს სახელმწიფო ღალატი და ამჟამად დაკარგეს ყოველგვარი კავშირი აფხაზეთის რესპუბლიკასთან.

არძინბას ყოველ გამოხდომაზე პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, სერიოზულ პოლიტიკურ აუცილებლობას არ წარმოადგენს, მაგრამ ამჯერად გვინდა განვაცხადოთ შემდეგი:

პირველი — ყოველგვარი იურიდიული საფუძვლების მიუხედავად, ოთხმხრივი მოლაპარაკების საწინააღმდეგოდ აფხაზ სეპარატისტთა ჯგუფმა ხელოვნურად შექმნა პარლამენტი, მინისტრთა კაბინეტი, აირჩია პრეზიდენტი. ამიტომ აფხაზეთი ფაქტობრივად დარჩა უმაღლესი საბჭოს გარეშე.

მეორე — შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იურიდიულად არსებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წელს მიღებული კონსტიტუციის საფუძველზე, ხელისუფლების ვაკუუმის შესავსებად საჭირო გახდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აღდგენა და მისი მუშაობის განახლება.

საქართველოს პარლამენტმა, რომელსაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ევროკავშირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ არაერთხელ დასადასტურებლად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სრული იურისდიქციის უფლება აქვთ მინიჭებული, თავისი გადაწყვეტილება მიიღო აფხაზეთის, როგორც თავისი განუყოფელი ნაწილის, ქართველი და სხვა ეროვნებათა უმრავლესობის ინტერესებიდან გამომდინარე და ამიტომ, მსოფლიოში აღიარებული იურიდიული და მორალური კრიტერიუმების შესაბამისად, სრულიად ლოგიკური და გამართლებულია.

მესამე — უსაფუძვლო და უაზრობაა ის, რომ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეული დეპუტატთა ნაწილი კანონგარეშე და მით უმეტეს, სახელმწიფოს მოღალატეებად გამოაცხადო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენ გამოვდიოდით და გამოვდივართ საქართველოს ერთიანი, სუვერენული სახელმწიფოს, მათ შორის, აფხაზეთში მცხოვრებ ხალხთა ერთიანობის მომხრეებად, ერთ მუჭა სეპარატისტთა და მოღალატურ და ამბიციურ მოქმედებათა საწინააღმდეგოდ, რასაც სულ უფრო და უფრო უჭერს მხარს რუსეთის და მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი.

მეოთხე — თვით არძინბასა და მისი გარემოცვის სინდისზეა ევროპისა და მსოფლიოს 54 ქვეყნის ხელმძღვანელთა მიერ სპეციალური შეთანხმებით აღიარებული და ხელმოწერილი ეთნიკური წმენდა, გენოციდი ქართველ და სხვა ხალხთა წინააღმდეგ, მათ შორის, აფხაზი ხალხის თვითგენოციდი. სხვა რომ არ იყოს, ის რას ნიშნავს, რომ აფხაზეთიდან დევნილი და ლტოლვილია 400 ათასამდე ადამიანი, მათ შორის 25 ათასზე მეტი აფხაზი — საერთო მოსახლეობის თითქმის მესამედი, რომ არაფერი ვთქვათ ათასობით დახოცილსა და წამებულზე, ათიათასობით დაჭრილსა და დასახიჩრებულზე, განადგურებულ და გადამწვარ ქალაქებსა და სოფლებზე, გაჩანაგებულ მიწასა და გარემოზე.

ყოველივე ამისათვის, მოღალატე და დამნაშავე თვით აფხაზი სეპარატისტები და, უწინარესად, არძინბაა, რისთვისაც მათ მართლა უნდა აგონ მკაცრი პასუხი აფხაზეთის ხალხისა და მთელი ქვეყნის წინაშე.

ჩვენ ვერ შევურიგდებით სეპარატისტთა მიერ შეკოწიწებულ დამნაშავე რეჟიმს და ბოლომდე ვიბრძოლებთ, რათა, რა გზითაც უნდა იყოს და რადაც უნდა დაგვიჯდეს, დავიბრუნოთ ჩვენი მშობლიური კერა, მიწა, წყალი...

აფხაზეთი იყო, არის და იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

თბილისი, 1995 წლის 7 მარტი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

აფხაზეთის ინვალიდთა და ლტოლვილთა დახმარების ასოციაცია „დაბრუნებას" საბიუჯეტო გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

გათავისუფლდეს აფხაზეთის ინვალიდთა და ლტოლვილთა დახმარების ასოციაცია „დაბრუნება" საბიუჯეტო გადასახადებისაგან წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების სფეროში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1995 წლის 7 მარტი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„სამხედრო დანაშაულობებისადმი და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისადმი ხანდაზმულობის ვადის მიუღებლობის შესახებ" კონვენციასთან შეერთების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს „სამხედრო დანაშაულობებისადმი და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისადმი ხანდაზმულობის ვადის მიუღებლობის შესახებ" საერთაშორისო კონვენციას.
2. ამის შესახებ ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1995 წლის 24 თებერვალი.

აფხაზეთის ამბები

სოფელ ბზიფში გაიმართა მოსახლეობის შეკრება

აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში გრძელდება მოსახლეობის შეკრებები, რომელთა მონაწილეები ითხოვენ გაამკაცრონ ბრძოლა კრიმინალური ელემენტების წინააღმდეგ. სოხუმის რადიოს ცნობით, ამას წინათ ასეთი შეკრება გაიმართა გაგრის რაიონის სოფელ ბზიფში, სადაც აფხაზური მოსახლეობა ყოველთვის ძლიერ სეპარატისტულ ტენდენციებს ამჟღავნებდა.

შეკრებას ესწრებოდნენ სეპარატისტთა მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი გივი აგრბა, პროკურატურის ხელმძღვანელის მოადგილე სერგი ბგანბა.

შეკრება გახსნა და მას უძღვებოდა სოფელ ბზიფის ადმინისტრაციის მეთაური ზეკან აგრბა. ყველა გამომსვლელმა აფხაზთა ხელისუფლებას მოუწოდა გაამკაცრონ და გააძლიერონ ბრძოლა კრიმინალურ სამყაროსთან, რადგან, როგორც მათ თქვეს, დამნაშავე ელემენტებმა იგრძნეს დაუსჯელობა და ამიტომ მათი დაკავება და, განსაკუთრებით კი გასამართლება არც თუ ისე იოლი საქმეა. აღინიშნა, რომ ხშირად დამნაშავე ელემენტებს მფარველობენ აფხაზი ეროვნების მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც ცდილობენ სხვადასხვა მიზეზით არ დაუშვან კრიმინალების დასჯა.

როგორც სოხუმის რადიო იტყობინება, გივი აგრბამ და სერგი ბგანბამ სოფელ ბზიფში გამართულ შეხვედრაზე გამოსვლისას აღიარეს, რომ სამართალდამცავ ორგანოებს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ. მათ სთხოვეს მოსახლეობას მხარი დაუჭირონ ბრძოლას კრიმინალების წინააღმდეგ და გამოთქვეს იმედი, რომ ყოფილი აფხაზი მეომრები გვერდში ამოუდგებიან აფხაზურ მილიციასა და პროკურატურას.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ამგვარ შეკრებებზე გაისმის ასეთი მოწოდებები, მაგრამ დღემდე ამას სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია: აფხაზური მილიცია უძლურია დამნაშავე ელემენტების წინააღმდეგ, რომელთა შორის ხშირად ხვდებიან ბოევიკები.

პოლიტიკა

არჩევნები — აუცილებლად!

გაიმართა საქართველოს პარლამენტის კოლეგიის სხდომა. როგორც ცნობილია, ამ შემოდგომაზე იწურება საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადა. წინ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მომავალი არჩევნებია.

კოლეგიამ იმსჯელა მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით და მიიღო გადაწყვეტილება, რომ პარლამენტი მთელ ძალისხმევას მიმართავს არჩევნების დროულად ჩატარებისათვის. ბუნებრივია, პარლამენტი პარალელურად გააგრძელებს თავის კანონშემოქმედებით საქმიანობას. კოლეგიის გადაწყვეტილებით, მომავალი კვირის პლენარულ სხდომებზე პარლამენტარები განიხილავენ 10-12 კანონპროექტს. ერთ-ერთი სხდომა კი მთლიანად დაეთმობა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.

რით ვუშველოთ საქართველოს?

ხელი—ხელს, მხარი—მხარს, გული—გულს!

ჩვენი გაზეთის მკითხველს უკვე რამდენჯერმე მივაწოდეთ ვრცელი ინფორმაცია პარლამენტართა კავშირ „თანადგომის" მჩქეფარე საქმიანობის შესახებ. კავშირის წევრები, რომელთა უმრავლესობაც აფხაზეთიდან და სამეგრელოს რეგიონიდან არჩეული დეპუტატები არიან, უკვე იყვნენ სენაკში, ზუგდიდში, ფოთში, აბაშაში, ხობში... შეხვდნენ იქ თავშეფარებულ ლტოლვილებს, ამომრჩევლებს და წვლილი შეიტანეს ამ შეხვედრების დროს წამოჭრილი არაერთი სოციალური თუ ეკონომიკური საკითხის წარმატებით გადაწყვეტაში.

იმ რეგიონისგან განსხვავებით, სადაც ლტოლვილთა დიდი მასაა თავმოყრილი და, ბუნებრივია, ხელისუფლებისა და მთავრობის მეტი ძალისხმევაც არის მიმართული, ბორჯომი, ასე ვთქვათ, ჩიხია და იქ მყოფი 3 ათასამდე მშობლიური კერიდან დევნილი თითქოს ერთგვარად „განზე დგას" საერთო ყურადღებიდან. ყოველ შემთხვევაში, მთელი ამ წლინახევრის მანძილზე არ უხილავთ თავიანთი დეპუტატები, ხელისუფლებისა და მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლები.

ამიტომ აირჩია „თანადგომამ" ბორჯომი თავისი მორიგი გასვლის მარშრუტად.

აფხაზეთი დაკარგული არ არის!

ის ასობით ადამიანის სატკივარი, რომლებიც ბორჯომის გამგეობის სხდომათა დარბაზში მოვიდნენ პარლამენტარებთან შესახვედრად, ალბათ, ბევრით არაფრით განსხვავდება მათს ბედში მყოფ სხვა თანამოძმეთა სატკივარისგან. ეგ იყო მხოლოდ, მათ პირველად უხდებოდათ ამის გამოთქმა ასე ორგანიზებულად.

უჭირთ, ძალიან უჭირთ. ხაზგასმული მადლიერებით აღნიშნავენ რაიონის გამგეობის, პირადად გამგებლის ჯუმბერ კურტანიძის დიდ ძალისხმევასა და ყურადღებას, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავს ზევით ძალა არ არის. რა ქნას გამგეობამ იმაზე მეტი, რასაც აკეთებს! ეს კი საკმარისი არ არის. საკურორტო ქალაქს, რომლის მთელი ავლადიდება წყლის ჩამომსხმელი ქარხნები და სამკურნალო დაწესებულებებია, თვითონაც უკიდურესად უჭირს, მაინც დაუყვედრებლად უნაწილებს ლუკმას შემოხიზნულებს, ორი თვეა არ მიუღია ლტოლვილთა კუთვნილი თანხები, საკუთარი მწირი ბიუჯეტი კი ისედაც დაიშრიტა...

ბორჯომში ლტოლვილები სამკურნალო დაწესებულებებში — სანატორიუმებსა და პანსიონატებში არიან შესახლებული დამსვენებლის სტატუსით. აქამდე პური და წვნიანი გვეძლეოდა, ახლა სულ უკან წავიდა ჩვენი საქმე, მხოლოდ პურზე დავრჩით და, ფაქტობრივად, ვშიმშილობთ. განსაკუთრებით ბავშვებისა და მოხუცების მდგომარეობა გვაფიქრებს. მედიკამენტები არ არის, უვიტამინობით პატარებს თმა სცვივათ, კბილების ამოსვლა უგვიანდებათო, განაცხადეს. ბორჯომელების მართლაც ძმური თანადგომა რომ არა, აქამდე სული ამოგვხდებოდაო.

აქ ერთი დოკუმენტი მინდა მკითხველს გავაცნო. ეს განცხადება პარლამენტართა კავშირ „თანადგომას" იმ დღეს გადასცა ბორჯომის სანატორიუმ „მთის ხეობის" მთავარმა ექიმმა ნუგზარ სეფაშვილმა:

„მთის ხეობაში" აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილი 480 კაცი იმყოფება კმაყოფაზე. ისინი ა. წ. 4 თებერვლამდე უზრუნველყოფილი იყვნენ როგორც კვებით, ისე უფასო სამედიცინო მომსახურებით. ჩვენს მიერ ჩატარებული დისპანსერიზაციის შედეგად გამოვლინდა 180-მდე ავადმყოფი სხვადასხვა დაავადებით, მათ შორის — ბავშვები, რომლებსაც დღესაც სჭირდებათ მკურნალობა. სამედიცინო შეფობას ვუწევდით პანსიონატ „პლატოში" ჩასახლებულ 580 ლტოლვილსაც.

მთავრობის გადაწყვეტილებით, 1 თებერვლიდან ყოველ ლტოლვილზე გამოიყო თვეში 2,5 მილიონი კუპონი პურის შესაძენად და 500 ათასი ხელზე გასაცემად, სანატორიუმებს კი გადაუწყვიტეს თითოეულ ლტოლვილზე 7 მილიონი კუპონი სამეურნეო ხარჯების გასაწევად. სამკურნალო დაწესებულებისთვის გამოყოფილი ეს თანხა მინიმალურადაც ვერ აუვა ვერც სამეურნეო ხარჯებს და ვერც თანამშრომელთა ხელფასს, რადგან ჩვენი სტატუსი არ შეცვლილა. ფაქტობრივად, თანამშრომელთა მთელი შტატი ულუკმაპუროდ რჩება და ლტოლვილებსაც შეუწყდებათ სამედიცინო მომსახურება.

იანვარში კვების ბლოკი არ დაგვიხურავს, ჩვეულებრივი რიტმით ვაგრძელებდით მუშაობას. ლტოლვილთა რესპუბლიკურ კომიტეტში გვიან გავარკვიეთ, რომ თურმე აქ 1 იანვრიდან უნდა შეგვეწყვიტა ლტოლვილთა კვება. არადა, ამის შესახებ დადგენილება ჩვენ არ მოგვსვლია.

გთხოვთ, მთავრობის წინაშე გვიშუამდგომლოთ, რომ აგვინაზღაურდეს დეკემბერ-იანვარში როგორც სამეურნეო, ისე კვების პროდუქტებზე გაწეული ხარჯები, რომ შეგვინარჩუნდეს დაწესებულების ძველი სტატუსი. სხვაგვარად სამკურნალო დაწესებულების დახურვა და თანამშრომლების დათხოვნა მოგვიწევს. სხვას თავი რომ დავანებოთ, განადგურდება ყველაფერი, რაც ათობით წლის მანძილზე შექმნილა.

P.S. ასეთივე გაურკვევლობის მსხვერპლი გახდა ბორჯომის შემდეგი ობიექტები: სანატორიუმი „ლიკანი", რკინიგზის ბალნეოლოგიური საავადმყოფო-სანატორიუმი „ბორჯომი" და პანსიონატი „პლატო".

ერთი სიტყვით, გამოიკვეთა არა მხოლოდ სტუმრების, არამედ მასპინძელთა პრობლემებიც. საყვედური გამოთქვეს ლტოლვილთა რესპუბლიკური კომიტეტის მისამართით, არაფერი გაუკეთებია ჩვენთვის, ჰუმანიტარული დახმარება ჩვენამდე ვერ აღწევსო. თუ ლტოლვილთა კომიტეტს არ შეუძლია ჰუმანიტარული დახმარების განაწილება, მაშინ ეს საქმე აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ ითავოსო. ამასთან, კრიტიკულად ითქვა, აფხაზეთის მინისტრთა საბჭო მთლიანად მოწყვეტილია ჩვენგანო.

მაგრამ ეკონომიკური პრობლემა იმდღევანდელი საუბრის მხოლოდ ერთი მხარე იყო, მეორე და უმთავრესი — შინ დაბრუნება. უმრავლესობას არ სჯერა, რომ აფხაზეთის საკითხის პოლიტიკური გზით გადაწყვეტა შესაძლებელია, წაგებულ ომს მშვიდობიანი მოლაპარაკებებით ვერ მოვიგებთო. ზოგიერთმა გულფიცხმა ჭაბუკმა, რომლებსაც ბრძოლების სიმძიმე საკუთარ მხრებზე აქვთ გადატანილი, განაცხადა, მოგვამზადეთ მომავალი ომისთვის, გაგვიკეთეთ ორგანიზაცია, თორემ მაისამდე დავიცდით და მერე უკვე აღარავის დავეკითხებით, ჩვენით ვიშოვით იარაღს და ჩვენ თვითონ მივხედავთ თავს, მერე თუნდაც ავანტიურისტები გვიწოდონო.

მწარე სინანულით ესეც ითქვა: აფხაზეთში მტერს კი არ დავუმარცხებივართ, საკუთარი თავი თვითონ დავიმარცხეთ. როდესაც სოხუმში ომი მიმდინარეობდა, იქაური ქართველების ნაწილი სახლებში ვიმალებოდით, ყველას ჩვენ-ჩვენი პოზიცია გვქონდა მოვლენებისადმი, ახლა კი თურმე ყველანი მაგარი მებრძოლები ვყოფილვართ. ჩვენ მაშინ ჩვენს თავს ვუღალატეთ. არც ახლა ვართ ქართველები გაერთიანებული. გვჭირდება ჯარი, რომელიც ბრძანებებს შეასრულებს და არა სახალხო ლაშქარი, როცა მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებსო.

პარლამენტართა კავშირ „თანადგომის" თანათავმჯდომარეებმა გენო კალანდიამ და თენგიზ კალანდაძემ შეკრებილთ გააცნეს ამ გაერთიანების მიზნები და ამოცანები, რომლებიც, მოწოდებულია, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის დაჩქარებას, ლტოლვილთა ეკონომიკური და სოციალური საკითხების მოგვარებას. პარლამენტარებმა გერმანე ფაცაციამ, ალექსანდრე ჯიქიამ, არნოლდ ფენდერავამ, მალხაზ ბარამიძემ, ანზორ წოწონავამ, მურმან ომანიძემ ლტოლვილებს განუმარტეს, რომ კვლავ პარტიზანული მოქმედება სიკეთეს არ მოიტანს, აფხაზეთში დაბრუნება სახელმწიფოებრივი გზით უნდა მოხდეს, და თუ ხელისუფლება ამას ვერ შეძლებს, იგი ღირსი არ იქნება ქვეყანა მართოს. აფხაზეთში უნდა დავბრუნდეთ ჩვენი თავის ბატონ-პატრონად და არა კვლავ ისეთივე მონებად, როგორც აქამდე იყო იქაური ქართველობა. რუსეთის პოზიცია საქართველოს მიმართ უკეთესი გახდა. თუ იგი ხელს შეგვიწყობს აფხაზეთის დაბრუნებაში, მაშინ შეიძლება ვიმსჯელოთ რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხზე საქართველოში. უფრო აქტიური ურთიერთობაა დასამყარებელი რუსეთის პარლამენტთან, პოლიტიკურ წრეებთან.

აუცილებელია აფხაზეთის მინისტრთა საბჭო უფრო ქმედითი, მოქნილი, ორგანიზებული ორგანო გახდეს, რათა აქტიურად და არსებითად ჩაერთოს აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში, ლტოლვილთა პრობლემების გადაწყვეტაში.

დეპუტატი რუსთავიდან, ბატონი მურმან ომანიძე ბორჯომელ ლტოლვილებს შეპირდა, რომ მარტის შუა რიცხვებში საკუთარი სახსრებით გაუგზავნის დახმარებას: თითოეულ სულზე 10 კილოგრამ ფქვილს, თითო კილო შაქარსა და ბურღულს, 0,5-0,5 კილოგრამ რძის ფხვნილსა და ზეთს.

...იმდღევანდელმა შეხვედრამ რწმენა და იმედი ჩაუსახა ბორჯომში თავშეფარებულ ლტოლვილებს, რწმენა იმისა, რომ ისინი ახსოვთ, მათზე ფიქრობენ, იმედი იმისა, რომ არის შინ დაბრუნების შანსი. თანადგომის ერთ-ერთი მიზანიც ხომ ეს არის — თანამემამულეთა გამხნევება, მხარში ამოდგომა.

ალეკო ასლანიშვილი.



* * *

სურათებზე: პარლამენტართა კავშირ „თანადგომის" თანათავმჯდომარე **თენგიზ კალანდაძე** (ზემოთ) და აფხაზეთის დეპუტაციის წარმომადგენლები — „თანადგომის" თანათავმჯდომარე, პოეტი **გენო კალანდია** და **ანზორ წოწონავა** აფხაზეთიდან დევნილთა წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს.

იოსებ დავითაშვილის ფოტო.

რედაქციისაგან: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი პარლამენტართა კავშირ „თანადგომის" თავმჯდომარეს ბატონ **ნუგზარ ნადარაიას** ულოცავს დაბადების ორმოცდამეათე წლისთავს, უსურვებს მას ჯანმრთელობას და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მერვე სვეტი

ვიზიტი კარგი შედეგებით დამთავრდა

საქართველოში ნავთობის საძიებო სამუშაოებს უკვე რამდენიმე კომპანია აწარმოებს, მათ შორის, ამერიკის, ავსტრალიისა და დიდი ბრიტანეთის ფირმები. ამჯერად, მათ რიცხვს შეემატნენ შვეიცარიელი სპეციალისტები.

კომპანია „ნეშნლ პეტროლეუმი" და ბანკი „ბენქ ოვ ნიუ-იორკ ინტერმერითაიმ ბენქი" დიდი გამოცდილების ორგანიზაციებია. მათი საქმიანობის სფეროა ნავთობისა და გაზის მოპოვება, გადამუშავება, ქარხნების მშენებლობა და ფუნქციონირება. ზემოხსენებული ფირმების წარმომადგენლები პარლამენტარ ჯაბა იოსელიანის ინიციატივით ეწვივნენ საქართველოს, გაეცნენ გეოლოგიურ და გეოფიზიკურ მასალებს, მიიღეს აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც, ბუნებრივია, საჭიროებს სერიოზულ ანალიზს.

9 მარტს სტუმრები მიიღეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. ბატონმა იურგენ სუდჰოფმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ვიზიტი კარგი შედეგებით დამთავრდა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო — საქინფორმი.

ნომინალური ღირებულება — 30 დოლარი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან და დაადგინა, რომ საპრივატიზაციო ბარათების ნომინალური ღირებულება განისაზღვროს 30 (ოცდაათი) აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით.

მიღება მინისტრთა კაბინეტში

7 მარტს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ზურაბ კერვალიშვილმა მიიღო სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე გაგიკ შახბაზიანი, გაზმრეწვის თავმჯდომარე როლანდ ადომცი, სხვა ოფიციალური პირები.

საუბარი შეეხო გარდაბანში გამავალი გაზსადენების აფეთქებული უბნების აღდგენას.

ითხოვენ კონტაქტების დამყარებას

სეპარატისტთა რადიოს ცნობებით, ამ დღეებში სოხუმში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მოაწყო აფხაზური ენისა და ლიტერატურის კათედრამ.

სიტყვა წარმოთქვა ბაგრატ შინკუბამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აფხაზეთის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში აუცილებლად უნდა შეიტანონ ჩრდილოეთკავკასიელთა მწერლების ნაწარმოებები, რომ უნდა განახლდეს სტუდენტთა გაცვლა აფხაზეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის.

ამყარებენ კავშირურთიერთობას

შიდა ქართლის რეგიონის წარმომადგენლობა გაიხსნა ვლადიკავკაზში. წარმომადგენლობაზე დაკისრებულ ამოცანათაგან ერთ-ერთია პარტნიორთა გამოძებნა ერთობლივ საწარმოთა შექმნის, კომერციულ გარიგებათა დადებისათვის, მაგალითად, უკვე შეიქმნა ტვირთების გადაზიდვის ერთობლივი საწარმო. მიმდინარეობს მოლაპარაკება კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, კიროვის ოლქის ბიზნესმენებთან ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ.

საქა[illegible]
სახელმწიფო[illegible]

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სამმართველოს სამხედრო მოსამსახურეების დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სამმართველოს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით

II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით
(სიკვდილის შემდეგ):

დათო გედიანაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ოცეულის მეთაური;

რობერტ ოგანესიანი — კაპიტანი, სატანკო მექანიზებული პოლკის შეიარაღების სამსახურის უფროსის მოადგილე;

ტარიელ ხაძაგლიშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის შტაბის უფროსის თანაშემწე;

გურამ ხოლოდაშვილი — ზემდეგი, სატანკო მექანიზებული პოლკის მებრძოლი;

გია შუშანაშვილი — ზემდეგი, სატანკო მექანიზებული პოლკის მებრძოლი;

ტრისტან ძინძიბაძე — მაიორი, კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი.

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

ოთარ აბაზაშვილი — პოლკოვნიკი, ეროვნული გვარდიის სამმართველოს შტაბის უფროსის მოადგილე;

რამაზ ახალკაციშვილი — ვიცე-პოლკოვნიკი, სატანკო მექანიზებული პოლკის ბატალიონის მეთაური;

თორნიკე კალმახელიძე — ვიცე-პოლკოვნიკი, სატანკო მექანიზებული პოლკის დაზვერვის სამსახურის უფროსი;

ზურაბ კიკნაძე — ზემდეგი, სატანკო მექანიზებული პოლკის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);

როსტომ კობახიძე — ვიცე-პოლკოვნიკი, სატანკო მექანიზებული პოლკის მეთაურის მოადგილე;

აკაკი მიგრიაული — ვიცე-პოლკოვნიკი, სატანკო მექანიზებული პოლკის მეთაურის პირველი მოადგილე;

მუშუზა რუხაია — ვიცე-პოლკოვნიკი, სატანკო მექანიზებული პოლკის არტილერიის დივიზიონის მეთაური;

გოჩა სახლთხუციშვილი — ვიცე-პოლკოვნიკი, მანგლისის სასწავლო ცენტრის უფროსი;

თამაზ სიხუაშვილი — ვიცე-პოლკოვნიკი, სატანკო მექანიზებული პოლკის მეთაურის მოადგილე;

იმედა ჩოთირიძე — რიგითი, სატანკო მექანიზებული პოლკის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);

დიმიტრი წულუკიძე — მაიორი, სატანკო მექანიზებული პოლკის შტაბის უფროსის მოადგილე;

დავით ბაჭბანიძე — ლეიტენანტი, კასპის ბატალიონის ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);

დავით ჭანტურია — ვიცე-პოლკოვნიკი, სატანკო მექანიზებული პოლკის შტაბის უფროსი;

შალვა ხმალაძე — ვიცე-პოლკოვნიკი, დმანისის ასეულის მეთაური;

ფილიპე ჭალაღანია — ვიცე-პოლკოვნიკი, სატანკო მექანიზებული პოლკის მეთაურის მოადგილე;

დავით ჭიოშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ბატალიონის მეთაური (სიკვდილის შემდეგ).

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:

სერგო აკოფიანი — კაპიტანი, სატანკო მექანიზებული პოლკის ასეულის მეთაური;

ჯონდო არბოლიშვილი — უფროსი ლეიტენანტი, საგანგებო განყოფილების ოფიცერი;

გრიგორ ბაინდური — კაპიტანი, ოპერატიული განყოფილების უფროსი ოპერატორი;

გურამ ბერიძე — კაპიტანი, ოპერატიული განყოფილების უფროსი ოპერატორი;

თენგიზ ბოჟორიშვილი — მაიორი, ეროვნული გვარდიის სამმართველოს კადრების განყოფილების ოფიცერი;

პაატა გამბარაშვილი — კაპიტანი, სატანკო მექანიზებული პოლკის ავტოსამსახურის უფროსის მოადგილე;

გელა გაფრინდაშვილი — კაპიტანი, ოპერატიული განყოფილების ოპერატორი;

მზევინარ გიგაური — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ბატალიონის მღვდელი;

ვალერი გოგნაძე — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ოცეულის მეთაური;

მიხეილ გოგიჯანაშვილი — მაიორი, სატანკო მექანიზებული პოლკის დაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილე;

მერაბ გოგიშვილი — კაპიტანი, კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსის მოადგილე;

გიზო გოგრიჭიანი — კაპიტანი, საინჟინრო სამსახურის ოფიცერი;

დავით ქეპიტაშვილი — კაპიტანი, სატანკო მექანიზებული პოლკის ბატალიონის ასეულის მეთაური;

პაატა ეპიტაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის მესანგრეთა ოცეულის მეთაური;

ემზარ ეპიტაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ასეულის მეთაურის მოადგილე;

დავით ვაჩაძე — კაპიტანი, სატანკო მექანიზებული პოლკის ბატალიონის ასეულის მეთაური;

ალექსი ზანდარაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის მარტყოფის ბატალიონის ოცეულის მეთაური;

ჯიმშერ თაგვიაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის არტილერიის დივიზიონის სარაკეტო ბატარეის მეთაურის მოადგილე;

აჩიკო კაპანაძე — მაიორი, სატანკო მექანიზებული პოლკის ბატალიონის მეთაურის მოადგილე;

გელა კერატიშვილი — მაიორი, სატანკო მექანიზებული პოლკის სამწყობრო ნაწილის უფროსი;

ირაკლი კილენჯერიძე — ვიცე-პოლკოვნიკი, არტილერიის უფროსი;

მურმან კიკნაძე — კაპიტანი, სატანკო მექანიზებული პოლკის ბატალიონის მეთაურის მოადგილე;

ვალერი კოდიაშვილი — მაიორი, ოპერატიული განყოფილების უფროსის მოადგილე;

მერაბ მათიაშვილი — მაიორი, სატანკო მექანიზებული პოლკის ბატალიონის მეთაურის მოადგილე;

ამირან მაღლაფერიძე — მაიორი, სატანკო მექანიზებული პოლკის კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსი;

კობა მაჭარაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ოცეულის მეთაური;

შუქრი მეხსი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის დაზვერვის ჯგუფის უფროსი;

მამუკა მინეხაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ბატალიონის მეთაურის მოადგილე;

სერგო მუნჯიშვილი — ვიცე-პოლკოვნიკი, სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე;

შალვა ნათიშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ბატალიონის ოცეულის მეთაური;

გიორგი ნანობაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ოცეულის მეთაური;

მამუკა ოქრიაშვილი — მაიორი, სატანკო მექანიზებული პოლკის შეიარაღების სამსახურის უფროსი;

ამირან პაპულაშვილი — კაპიტანი, ეროვნული გვარდიის სამმართველოს საინჟინრო სამსახურის უფროსი;

კონსტანტინე სამურაშვილი — კაპიტანი, სატანკო მექანიზებული პოლკის საწვავ-საცხები მასალების სამსახურის უფროსი;

არჩილ სულაქველიძე — მაიორი, სატანკო მექანიზებული პოლკის კვების სამსახურის უფროსი;

ვიტალი ფაცხავაძე — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ოცეულის მეთაური;

გალაქტიონ ფარჯოსაძე — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის დაზვერვის ჯგუფის უფროსი;

გივი ფურცელაძე — მაიორი, სამხედრო კომენდანტი;

არჩილ ქავთარაძე — მაიორი, სატანკო მექანიზებული პოლკის ავტოსამსახურის უფროსი;

კახა ლუპაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ოცეულის მეთაური;

ზაზა ჩხარტიშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ოცეულის მეთაური;

აკაკი ცერცვაძე — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ბატალიონის ოცეულის მეთაური;

ნუგზარ ცირეკიძე — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ასეულის მეთაურის მოადგილე;

ჯიმი ცხადაძე — კაპიტანი, სატანკო მექანიზებული პოლკის ასეულის მეთაური;

ფრიდონ წივილაშვილი — ვიცე-პოლკოვნიკი, სატანკო მექანიზებული პოლკის ზურგის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სუმბურჯო წოწკოლაური — კაპიტანი, სატანკო მექანიზებული პოლკის ბატალიონის მეთაურის მოადგილე;

გრიგოლ ჭანტურია — კაპიტანი, სატანკო მექანიზებული პოლკის ფიზიკური მომზადების სამსახურის უფროსი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:

ვლადიმერ ბალახაძე — მაიორი, სატანკო მექანიზებული პოლკის ასეულის მეთაური;

დავით ბოგიჩაიშვილი — მაიორი, სატანკო მექანიზებული პოლკის საარტილერიო დივიზიონის მეთაურის მოადგილე;

ედუარდ კაპანაძე — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ავტოასეულის მძღოლი;

გივი ნიკოლაიშვილი — ზემდეგი, სატანკო მექანიზებული პოლკის შეიარაღების სამსახურის მძღოლი;

თამაზ სამურაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, სატანკო მექანიზებული პოლკის ოცეულის მეთაური.

ე. შევარდნაძე.

ეს თქვენი უპირველესი მოვალეობაა, ბიჭებო!

კიდევ ერთხელ გადავხედოთ სავალალო სტატისტიკას:

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შარშანდელი გაწვევის გეგმა მხოლოდ 69 პროცენტით შესრულდა. თავდაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული შენაერთები და სამხედრო ნაწილები დაკომპლექტდა 66 პროცენტით (!), შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები — 68 პროცენტით, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ჯარები — 94 პროცენტით. მხოლოდ სასაზღვრო ჯარების შევსების რიცხობრივი მაჩვენებელია იმედისმომცემი — 103 პროცენტი.

რესპუბლიკის იურისდიქციაში მყოფი 74 საქალაქო და რაიონული კომისარიატიდან გაწვევის გეგმა მხოლოდ ოცმა შეასრულა! უმრავლეს რაიონებში გაწვევის სამარცხვინო დონე ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების პასიურობამ, უგულისყურობამ, კომისარიატებთან შეუთანხმებელმა მოქმედებამ გამოიწვია. სამწუხაროდ, რესპუბლიკაში ძალზე დაბალია ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის დონეც. სამხედრო სამსახურისაგან თავის ამრიდებლებს, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, არავინ სჯის, ჯარისკაცთა მატერიალური უზრუნველყოფის, ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის თითქმის არავინ ზრუნავს!

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ წვევამდელების ნაწილი კომისარიატებში ძალით მისაყვანი გახდა... ისიც სამარცხვინოა, რომ სამხედრო ნაწილებს ბევრი ჯარისკაცი თვითნებურად ტოვებს. დეზერტირების რიცხვმა კატასტროფულ მაჩვენებელს — 1665-ს მიაღწია!

...მარტო 4 თებერვალს, თბილისში, სამხედრო პატრულმა ერთ საათში (!) ოციოდე დეზერტირი გამოავლინა!

ნებისმიერ, ჯანსაღ საზოგადოებაში, განვითარებულ თუ განუვითარებელ ქვეყანაში ეროვნულ არმიაში სავალდებულო სამხედრო სამსახური თითოეული ახალგაზრდისათვის უწმინდესი და უპირველესი მოვალეობაა. ბევრ ქვეყანაში კი ჯარში სამსახურს ელიტა, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ადამიანები ელტვიან.

ჩვენთან ყველაფერი თავდაყირაა — ბანდების ხელმძღვანელთა დაძახილზე ათობით კუნთმაგარი და გონებაჩლუნგი, საკუთარი სამშობლოს, ხალხის მომავლი წურბელა, მოღალატე იკრიბება, სამშობლოს — ნამდვილად თავისუფალი, მაგრამ დროებით განსაცდელში ჩავარდნილი სამშობლოს დაძახილზე კი მხოლოდ „უპატრონო“ ღარიბ-ღატაკნი [illegible]ბიან.

[illegible]ქიდა. სად წავიდა შინ[illegible] [illegible] რაინდული, პატრიოტული თვისებებით გამორჩეული ქართველი!

ასე როგორ გამოგვხრა ამბიციურობის, ქრთამის, გამორჩენის ჭიამ?

რა ჩემი საქმეა ასეთი მამულის დაცვაო, რომ გაიძახით, თითქოს თითოეული ჩვენგანის, ყოველ შემთხვევაში უმრავლესობის მაინც, ბედოვლათობამ არ მიიყვანა ეს ბედკრული სამშობლო ამ დონემდე? სწორედ შეჭირვების ჟამს არ სჭირდება ქვეყანას შვილთა მისთა გონიერება და თავდადება?..

ისე როგორ უნდა გალაჩრდეს 18-20 წლის ახალგაზრდა რომ ჯარში წასვლას მაცივარში ან გარდერობში დამალვა ამჯობინოს, თუ გაიწვიეს, სოციალური პრობლემების მოუწესრიგებლობის გამო, დეზერტირად იქცეს! ერთგულ, პირთამთმენ თანატოლებს ზურგი აქციოს!

რა თქმა უნდა, არაფერი გვეშველება, თუ დისციპლინა, უმკაცრესი მომთხოვნელობა, დამნაშავეთა სასწრაფოდ დასჯა ახალფეხადგმული ქართული არმიის მშენებლობის საფუძველთა-საფუძველი არ გახდა. უკან დასახევი გზა კარგა ხანია მოჭრილია, სირცხვილიც უსაზღვროდ ბევრი „ვჭამეთ“, ასეთ ყოფას მართლაც სიკვდილი სჯობს!..

პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ვიმედოვნებთ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია...

სპარტაკ ქობულია.

ყველა დაისჯება!

დიახ, ყველა დაისჯება, ვინც ქართული ჯარის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს საქმის ხელს შეუშლის, — განაცხადა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის მეთაურმა პოლკოვნიკმა ტრისტან წითელაშვილმა.

1995 წლის 1 თებერვალს სამხედრო ნაწილში გაიმართა საგანგებო სამხედრო სასამართლო დეზერტირის მიმართ.

მამუკა გურამის ძე აგოიანი, დაბადებული 1976 წელს, სისტემატურად იპარებოდა სამხედრო ნაწილის ტერიტორიიდან, ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა მისი გამოსწორებისათვის, მაგრამ... თავნება მ. აგოიანი მაინც უტიფრად იქცეოდა. რამდენჯერმე ჩასვეს ჰაუპტვახტში. განსასჯელმა მ. აგოიანმა ყურად არც ეს იღო და უდარდელად განაგრძობდა დეზერტირობას. ყოველივე ამის გამო მის მიმართ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 262 მუხლის „ა“ პუნქტით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

განსასჯელი მამუკა გურამის ძე აგოიანს სასამართლომ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

ამ რამდენიმე დღის წინ ასევე 4 წლიწადი მიუსაჯეს გორელ დეზერტირს **გიორგი თირაშვილს.**

ეს [illegible]

შეღავათები სამხედრო მოსამსახურეებს

ბოლო ხანს გახშირდა შემთხვევები, როცა ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიან საზოგადოებრივი ტრანსპორტით შეღავათიანი სარგებლობისას. იმის გასარკვევად, თუ რა შეღავათები ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეებზე, მივმართეთ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-იურიდიული განყოფილების უფროსს, იუსტიციის პოლკოვნიკ რუბენ ყარმაზანაშვილს.

— მოქალაქეთა რომელი კატეგორია სარგებლობს სამხედრო მოსამსახურის სტატუსით?

— სამხედრო მოსამსახურეებს მიეკუთვნებიან: საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და მისი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილების, დაწესებულებების, ორგანიზაციების რიგითები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები, მიჩმანები, მათ შორის სამხედრო აკადემიის მსმენელები, ოფიცერთა შემადგენლობა; საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ჯარების სამხედრო მოსამსახურეები; სახელმწიფო უშიშროების სამსახურისა და სამთავრობო დაცვის სამხედრო მოსამსახურეები; ამავე უწყებებში მომსახურე სამხედრო წოდების მქონე ქალები.

— რა შეღავათებით სარგებლობენ აღნიშნული სამხედრო მოსამსახურეები ტრანსპორტით მგზავრობისას და კიდევ რა შეღავათები აქვთ მათ და მათი ოჯახის წევრებს?

— საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 ოქტომბრის №748 დადგენილების შესაბამისად სამხედრო მოსამსახურეს ქალაქში უფასოდ მგზავრობის უფლება აქვს ტრამვაით, ტროლეიბუსით, ავტობუსითა და მეტროთი მგზავრობისას მისი პიროვნების დამადასტურებელი საბუთის წარდგენის შემთხვევაში. ასეთივე უფლებებით სარგებლობენ სამხედრო პენსიონერები.

სამხედრო მოსამსახურეები, სამხედრო პენსიონერები და მათი ოჯახის წევრები იხდიან ბინის ქირის, წყლით სარგებლობის, გათბობის, ელექტროენერგიის, გაზის, ტელეფონის, კომუნალური მომსახურების ღირებულების 50 პროცენტს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 14 ნოემბრის № 796-44 დადგენილებით სამხედრო მოსამსახურეთათვის, მუშებისა და ნებით დაქირავებულ პირთათვის განსაზღვრულია უამრავი შეღავათი ფულად სარგოებზე დანამატების სახით, როგორც სამსახურის დროს, ასევე სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი შეღავათები: ოფიცრებსა და ზევადიან სამხედრო მოსამსახურეებზე გაიცემა ყოველთვიური სასურსათო ულუფა ან მისი შემცვლელი ფულადი კომპენსაცია; როგორც სამხედრო სამსახურის გავლის დროს, ასევე სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ოფიცრებსა და ზევადიან სამხედრო მოსამსახურეებს უფასოდ გამოეყოფათ მიწის ნაკვეთები ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში — 0,1 ჰა-ს, ხოლო სოფელ ადგილებში — 0,25 ჰა-ს ოდენობით; სამხედრო მოსამსახურის ფულადი სარგოები არ იბეგრება; სამხედრო მოსამსახურეები, მათ რიცხვში პენსიონერები, აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრები უფასოდ მკურნალობენ სამხედრო სამედიცინო დაწესებულებებში, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

ჩვენმა პრესსამსახურმა სხვა უწყებებთან შეთანხმებით მოამზადა კანონების პროექტები: „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“, „სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“, „ვეტერანების შესახებ“, რომლებსაც სულ მალე განიხილავს საქართველოს პარლამენტი.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური.

საქართველოს რესპუბლიკა

GEORGIA DEFENCE FUND

№ 45

მწვანე გზა — „სამხედრო გაზეთს“

გულწრფელად მივესალმებით საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ორგანოს — „სამხედრო გაზეთის“ აღდგენას. ამ დღეებში მკითხველმა მიიღო მისი პირველი, განახლებული (სულ გამოვიდა 4) ნომერი, რომელიც მიმზიდველად, ორიგინალურად გამოიყურება, მასალებიც საინტერესო და ლაკონურია. საქართველოს თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე თავის წერილში გულწრფელად მოუწოდებს რედაქციის კოლექტივს, რომ გაზეთმა პირუთვნელად, შეულამაზებლად გააშუქოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე მშენებლობის ურთულესი პროცესი.

გაზეთის განახლებულ ნომერში იბეჭდება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება [illegible] სამხედრო ნაწილების თვითნებურად დატოვების აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ, პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ დავით სოხაძის პრობლემური წერილი — „არმია ზრდის პატრიოტებს“, გამოჩენილი მწერლის ლევან სანიკიძის მხატვრულ-პუბლიცისტური ჩანახატი — „ისტორიით და არა ისტერიით“, ცნობილი პოლიტიკური მიმომხილველის გივი ბოლოთაშვილის სიმართლით აღსავსე წერილი „ძნელად სატარებელი ჯვარი“. გაერთიანებული სამხედრო აკადემიის რექტორი, პოლკოვნიკი თენგიზ შუბლაძე რუბრიკით „ოფიცერთა სამჭედლო“ მოგვითხრობს აკადემიის დღევანდელობასა და პერსპექტივებზე. რესპუბლიკის სამხედრო კომისარი, პოლკოვნიკი ტარიელ აბუაშვილი წერილში — „ჯარი შევსებას ელოდება“ პრინციპულად აანალიზებს არმიაში გაწვევის შარშანდელ მედე[illegible]

გაზეთის რედაქტორია [illegible]დილი ჟურნალისტი ოთა[illegible]ქაძე.

ჩვენი მწარე სინამდვილე

იატაკის ფიცარი

მთელი ღამე საშინლად ქროდა. გზის პირას მდგარი სახლი ძლივს უძლებდა სტიქიის შემოტევას, მაგრამ შუაღამისას ისე მძლავრად შემოუბერა, რომ ფანჯარა ხმაურით გაალო... ავადმყოფი მეუღლის წამოდგომის იმედი ნაკლებად ჰქონდა. ისევ თავს ძალა დაატანა და რის ვაივაგლახით ფანჯარასთან მივიდა. ორპირი ქარი ფარდის მოგლეჯას ცდილობდა, მაგრამ ფანჯრის დახურვას არ ჩქარობდა, იდგა და ვაფაციცებით რკინიგზის იქით მდებარე სასაფლაოსკენ იყურებოდა... თვალთაგან ცრემლი ჩამოსდიოდა და აკანკალებული ხელებით სიგარეტის მოკიდებას ამაოდ ცდილობდა. ბოლოს, როგორც იქნა მოუკიდა, მაგრამ ცრემლებმა ჩაუქრო. სიგარეტი საფერფლეს მიაჭყლიტა და უცებ გვერდით მდგომი თავზარდამცემული, აკანკალებული მეუღლე შენიშნა...

— გენო, დაწექი, აღარ გეყო, ბიჭო? ხომ ხედავ, რომ ორივეს ბოლო გველება... ადამიანური სიკვდილი მაინც მაცალე.

— ნინო, შენ ამას როგორ მეუბნები, ხომ კარგად გახსოვს, ყოველთვის იმას ვცდილობდი ბიჭი თბილად ყოფილიყო და შემთხვევით საბანი არ გადაეძრო... ახლა კი წევს იმ სიცივესა და ყიამათში, მე აქ თავს უნდა ვავუფრთხილდე, რომ შემთხვევით არ გავცივდე? შენ დაწექი, არ შეგცივდეს, ხოლო მე დაუყოვნებლივ შვილთან უნდა წავიდე...

აი, უკვე მეშვიდე თვეა, რაც გენოს ოჯახში ჩვეული სიმშვიდე დაირღვა. ყველაფრის მიზეზი კი ერთადერთი, თორმეტი წლის ვაჟის მოულოდნელი გარდაცვალება გახდა. მდგომარეობას განსაკუთრებით ის ამძიმებდა, რომ ვერავის უზიარებდნენ შვილის დაღუპვის საიდუმლოებას...

გენო მაზიაშვილი სახლთან ახლოს, კლინიკურ საავადმყოფოში მშენებლობაზე მუშაობდა. ერთ დღეს დურგალს იატაკის ფიცრის დახერხვაში ეხმარებოდა. ისეთი ნამზადი გამოდიოდა, ავ თვალს არ ენახვებოდა. ხუთიოდე ცალი ნამდვილად მონათლავდა გენოს ოჯახს, რადგანაც სამზარეულო ოთახში იატაკი სავალალო მდგომარეობაში ჰქონდა... მშენებლობის მწარმოებელი ისეთი ლოჯუ კაცი იყო, ფიცარს კი არა, ზამთარში თოვლს არ გაიმეტებდა ადამიანისათვის.

სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ გენომ უგულოდ ივახშმა, ვერც გაზეთს დაუდო გული და წაძინებაც ვერ შეძლო. უკვე შეღამებული იყო, როცა მაგიდასთან წიგნებზე თავდახრილ შვილს ხელი მოჰკიდა და მასთან ერთად გარეთ გავიდა.

საავადმყოფოს ღობეს ადვილად გადაევლნენ და უხმაუროდ განაგრძეს გზა. დიდი ეზოს შეულ კუთხეში მდებარე სადურგლო სახელოსნო კუნაპეტ სიბნელეს მოეცვა. ფანჯარასთან ტყუილად იჯახირა, მტკიცე ცხაური არაფრით ნებდებოდა. ისევ კარებთან სცადა ბედი. სადღაც გრძელი რკინის ნაჭერი ნახა, ბერკეტივით ქვეშ ამოუდო კარების ერთ ნაწილს და ზედ მთელი ძალით დააწვა. კარები სულ ოდნავ აიწია, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ გამხდარი ბიჭი გამძვრალიყო. მამის მინიშნებით შვილმა სიბნელეში ადვილად მიაგნო ფიცარს და მალე კარების ქვემოდან მათი გამოცურება დაიწყო. ყოველ მომდევნო ფიცარს გენო აუწერელი სიხარულით ხვდებოდა, სიყვარულით ხელს უსვამდა, თითქოს შვილს ეფერებოდა და ფრთხილად აწყობდა კედლის გასწვრივ. ის იყო მეოთხე ფიცარი მოაწოდა ბიჭმა და უკან გაბრუნდა, რომ მოულოდნელად შემზარავად შეჰკივლა... გენო შიშისაგან გახევდა ტანში. გააერუოლა და ძლივს მილასლასდა კარებთან... ძალა მოიკრიბა და შვილს დაუძახა... სახელოსნო ავის მომასწავებელ სიჩუმეს მოეცვა... მისი დაბნეულობა რამდენიმე წამს გაგრძელდა, დასაკლავი ხარივით დაიღმუვლა და სახელოსნოს სახურავზე მოექცა, ხელის ერთი დაკვრით თუნუქის სახურავი მოგლიჯა და სახელოსნოში ჩახტა. ისეთი სიბნელე იყო, ვერაფერი გაარჩია. აკანკალებული ხელებით ასანთი აანთო. სახერხ დაზგასთან ახლოს, ბეტონის იატაკზე, ბიჭის სახე შენიშნა... ხელი ოდნავ შეახო და ელექტროდენმა ისიც კარგა მანძილზე მოისროლა, ოდნავ მოსულიერდა თუ არა, ისევ შვილთან მიხოხდა და ფიცრის ნაჭრით ელექტრომოტორის გადაყვლეფილ მავთულებს ძლივს მოაცილა. კარგა ხანს ხელოვნური სუნთქვა და მასაჟი გაუკეთა, მკერდზეც ლამის დააკვდა, მაგრამ უშედეგოდ, პატარა სხეულში სიცოცხლის ნიშანწყალი საბოლოოდ გამქრალიყო. სიმწრისაგან გენომ ხელზე საშინლად იკბინა, მაგრამ ტკივილი ოდნავადაც არ უგრძვნია. უსიცოცხლო შვილის სხეული დიდი წვალებით ამოსვენა სახელოსნოს თავზე...

...გენომ და ნინომ ხელკავით, რის ვაივაგლახით ფართო სამანქანო გზა გადალახეს, მცირე მაღლობი აათავეს, რკინიგზა გადაიარეს და თბილისის ერთ-ერთ უძველეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მივიდნენ. შვილის საფლავის სიახლოვემ თითქოს ენერგია შემატაო, გაუბედურებულნი წელში გაიმართნენ და მძიმე ნაბიჯით მიადგნენ დედისერთას მარადიულ სასუფეველს...

ჯემალ ნოზაძე.

> სახელმწიფოს, რომელიც ვერ ინახავს საკუთარ ჯარს, მოუწევს სხვა სახელმწიფოს არმიის შენახვა!
>
> ნაპოლეონ ბონაპარტე

პრობლემა

საყოველთაო სამხედრო სამსახური

და არა სამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური!

სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე, ჩვენი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია მაღალი დონის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება, ამისათვის — შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

საქართველოში ჩაშლილია ან, უკეთეს შემთხვევაში, ჩაშლის პირას არის შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების პროცესი.

სულ უფრო იზრდება სამხედრო სამსახურიდან თავის დაძვრენის შემთხვევები.

არადა, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოსათვის შეიარაღებული ძალების არსებობა მკაცრი აუცილებლობაა.

ქვეყნის შეიარაღებული ძალების დაკომპლექტებისას, საკითხი, რომელიც აღმოფხვრის სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების შემთხვევებს, შეიძლება დაისვას შემდეგნაირად: როგორია არმიის დაკომპლექტების წესი: ა) ნებაყოფლობითი (საკონტრაქტო), თუ ბ) საყოველთაო სამხედრო-სავალდებულო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და მსოფლიოს დაახლოებით 12-მდე ქვეყანაში არსებობს ნებაყოფლობითი (საკონტრაქტო) წესით დაკომპლექტებული დაქირავებული შეიარაღებული ძალები. მართებულად ითვლება, რომ ასეთი არმიის საიმედოობა მნიშვნელოვნად მაღალია, რადგანაც მოქალაქენი სამხედრო სამსახურში მიდიან ნებაყოფლობით და პროფესიონალ სამხედროებად იქცევიან.

საქართველოში ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დონეზე მიმდინარეობს მსჯელობა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მომავლის შესახებ. ნაწილი მიიჩნევს, რომ ნორმალური შეიარაღებული ძალების შექმნის აუცილებელი წინაპირობაა ნებაყოფლობითი (საკონტრაქტო) წესით არმიის დაკომპლექტების შემოღება. შეიძლება ჩვენი ქვეყნისთვის ეს წესი მომავალში მართლაც გამართლებული იყოს, მაგრამ დღეს ვერ გადავალთ მასზე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს მოითხოვს თავდაცვისათვის სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯების გაზრდას. ასეთ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ბიუჯეტის ხარჯებს კი არ უნდა გაზრდა, არამედ მთელი ბიუჯეტი უნდა დაეთმოს მას.

გვაძლევს კი დღევანდელი ბიუჯეტი იმის შესაძლებლობას, რომ გადავიდეთ არმიის დაკომპლექტების ნებაყოფლობით (საკონტრაქტო) წესზე და ამ გზით გადავწყვიტოთ მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა, მათ შორის — გაწვევაზე უარის თქმის შემთხვევები? შეიძლება, წელიწადში ორჯერ, სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოველ გაწვევაზე უარის თქმის შემდეგ დავაპატიმროთ ადამიანი, აღვუკვეთოთ მას თავისუფლება? — სანამ დასკვნას გამოვიტანდეთ, რომ რეპრესიების გარდა სხვა გზა, თუნდაც კანონიერი, არა გვაქვს, უნდა გავერკვეთ იმ პრობლემაში, რასაც არმიაში სამსახურზე უარი ჰქვია, მით უმეტეს, რომ მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ოფიციალურად აღიარებულია მოქალაქეთა უფლება, უარი თქვას სამხედრო სამსახურზე იმ პირობით, რომ გაივლიან ალტერნატიულ, სამოქალაქო სამსახურს. სამხედრო სამსახურზე უარის თქმის ეს პრინციპი ჩამოყალიბებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონში „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ და მის საფუძვლად აღიარებულია: სინდისისა და რწმენის თავისუფლების მოტივი (მუხლი 12), თუმცა, 1991 წლის 14 ივნისის კანონის „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ მე-4 მუხლის მიხედვით ასეთ საფუძვლად აღიარებულია მხოლოდ სინდისის თავისუფლების მოტივი.

საჭიროა გავარკვიოთ, რა იგულისხმება სინდისის მოტივით სამხედრო სამსახურზე უარის თქმის ცნებაში. შეიძლება თუ არა მასში იგულისხმებოდეს რელიგიური, ეთნიკური, ჰუმანური, პოლიტიკური, ფილოსოფიური თუ სხვა ამგვარი მოტივები? ყველა ქვეყანაში, სადაც აღიარებულია მოქალაქის სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმის უფლება, უდავო საფუძვლად ითვლება უარი რელიგიური მოსაზრებებით, ხოლო რიგ ქვეყნებში ასეთ საფუძვლად ითვლება მსოფლმხედველობა, რომელიც გმობს ყოველგვარ ომს და ითხოვს მშვიდობას (პაციფიზმი).

რაც შეეხება ტერმინ „რწმენის“ კანონში შეტანას, იგი გაართულებს სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლების პრაქტიკულ რეალიზაციას. როცა წვევამდელი უარს ამბობს სამხედრო სამსახურზე იმ მოტივით, რომ ამ სამსახურის გავლის პერიოდს იგი დროის უქმად დაკარგვად მიიჩნევს, ეს მისი, მართალია, პირადი, მაგრამ მაინც რწმენაა. შეიძლება თუ არა ასეთი „რწმენის“ საფუძველზე პირის სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან გათავისუფლება? წამოიჭრება პრობლემა; რწმენის რომელი, — საზოგადოებრივი და იურიდიული — კრიტერიუმები უნდა ვცნოთ საფუძვლიანად, რათა ადამიანი გათავისუფლდეს სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან? ვისა აქვს უფლება მისცეს შეფასება, არის თუ არა მნიშვნელოვანი, არსებითი წვევამდელის უარის მოტივი სამხედრო სამსახურის გავლაზე? დღესდღეობით ყოველივე ზემოაღნიშნულს წყვეტს რაიონის გამწვევი კომისია, რაც, ჩვენი აზრით, აშკარად გაუმართლებელია. გამწვევ კომისიას, კანონით, საკმაოდ შრომატევადი ფუნქციების განხორციელება აკისრია: გასაწვევი მოქალაქეების სამედიცინო შემოწმება, ჯარის სახეობის შერჩევა წვევამდელებისათვის და, შესაბამისად, მათი განაწილება, სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების საქმეების საგამოძიებო ორგანოებისათვის გადაცემა.

აღნიშნულის გარდა, გამწვევი კომისია, ძირითადად დაკომპლექტებულია სამხედრო სპეციალისტებით, რის გამოც მათ გაუძნელდებათ ფილოსოფიურ, ეთნიკურ თუ სხვა რწმენებში გარკვევა. ამას გარდა, გაუმართლებელია ამ კომისიის მიერ წვევამდელის რწმენის შეფასება და მისი ალტერნატიული სამსახურის გავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რადგანაც კომისია დაინტერესებული ორგანოა, რათა შეასრულოს სამხედრო სამსახურში გაწვევის გეგმა, რაც არსებითად განსაზღვრავს კიდეც მის სუბიექტივიზმს.

აღნიშნულ საკითხზე ობიექტური კანონიერი გადაწყვეტილების მიღება, ჩვენი აზრით, შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, რადგან მას აქვს შესაძლებლობა, მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც კვალიფიციურად შეაფასებენ ადამიანის სამხედრო სამსახურზე უარის თქმის მოტივებს, გამოიძახოს მოწმეები და შეასრულოს სხვა პროცესუალური მოქმედებები საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს ~~რესპუბლიკის~~ პარლამენტში მიმდინარეობს მუშაობა კანონზე „სინდისის (აღმსარებლობის) თავისუფლების შესახებ“, სადაც, ჩვენი აზრით უნდა გავითვალისწინოთ სინდისის თავისუფლების მოტივით სამხედრო სამსახურის გავლაზე ადამიანის უარის თქმის შემთხვევაში მისი არასამხედრო სამსახურით შეცვლის უფლება.

მართალია, 1991 წლის 14 ივნისს მიღებულია კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაგროვდა მრავალი ისეთი პრობლემა, რომელსაც ეს კანონი (და არა მარტო იგი — კანონი „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებაც“ — ლ. ა.) ვერ წყვეტს. ამასთან, უნდა განვსაზღვროთ მომავალში რომელი გზა ავირჩიოთ: საკანონმდებლო წესით ცალ-ცალკე დავარეგულიროთ საყოველთაო სამხედრო სამსახურისა და არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა თუ შევიმუშაოთ ერთიანი კანონი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ორივე მათგანი, პირობითი სათაურით კანონი „საყოველთაო სათავდაცვო მოვალეობის შესახებ“.

მართალია, საქართველოს გამოცხადებული აქვს აქტიური ნეიტრალიტეტი, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მას უნდა შეეძლოს საკუთარი სახელმწიფოებრიობის, ტერიტორიის, მოქალაქეთა და წესრიგის დაცვა. ამისთვის კი, ჩვენი აზრით, საჭიროა შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისთვის, პირველ რიგში, სათანადო საკანონმდებლო ბაზის მომზადება.

ლევან ალაფიშვილი,

იურისტი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის წამყვანი სპეციალისტი, ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.

აფხაზეთი — ჩვენი ტკივილი

„ფერშალაც“ დაიღუპა

გოჩა პინჭარაული ლესელიძის სახელობის სამხედრო სკოლის კურსდამთავრებული იყო. დაიბადა 1970 წლის 4 ოქტომბერს. დაამთავრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატი და მაშინვე მოეწყო თბილისის მესამე სამედიცინო საბაზო სასწავლებელში, რომელიც ფრიადებზე დაამთავრა. მერე გვარდიაში შევიდა. გახიზვნის დროს რკონში მსახურობდა. როცა შინაგანი ჯარი შიქმნა, იქვე არსებულ სპორტულ ლეგიონში იმსახურა. მონაწილეობდა ოსი ბოევიკების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში ცხინვალში, დირბში, ნიქოზში.

შემდეგ, აფხაზეთის ბრძოლებში მონაწილეობდა და 1993 წლის 2 ივლისს კინდღში მძიმე შეტაკების დროს დაიღუპა — დაჭრილის საშველად წასულს, ტყვია მოხვდა თავში. დაღუპვიდან ერთი თვის შემდეგღა მოხერხდა მისი ცხედრის გადმოსვენება.

იმ მძიმე დღეს ხუთი ძმადნაფიცი შეეწირა ომს. იმათგან ერთ-ერთი გოჩა იყო.

ომში გოჩა პინჭარაული ექიმის მოვალეობასაც ასრულებდა, ამიტომ ბიჭებმა ზედმეტ სახელად „ფერშალა“ შეარქვეს.

ხევსურეთში პინჭარაულების გვარს კაი ყმები ჰყავს... ვაჟკაცობით გამორჩეული ეს მერამდენე პინჭარაულია...

დედისერთა ბიჭი, დიდ მომავალზე მეოცნებე, სიკეთითა და იუმორით სავსე, ბუნებით ხელოვანი, უდროოდ გამოაკლდა სამშობლოს, რომელსაც შვილიც კი არ დარჩენია.

გოჩას დედამ ვერ აიტანა შვილის დაღუპვის ამბავი და იმავე დღეს მოიკლა თავი...

იზა ჯაჭვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახსოვდა თუ არა საქართველო...

სტალინის ფენომენი დღესაც მოსვენებას უკარგავს კაცობრიობას. ვინ იყო იგი — გენიოსი თუ საშუალო დონის ჩინოვნიკი, როგორც წარმოიდგენა მის იდეურ მოწინააღმდეგეს ლევ ტროცკის? საიდან მოვიდა — ბავშვობიდან, როგორც ყოველი ჩვენგანი, თუ პირდაპირ ბოლშევიკური იდეოლოგიიდან? იყო უცხოეთში გადახვეწილი ახალი დროის მამლუქი, სამშობლოს მოძულე რენეგატი, როგორც ფიქრობს ბევრი ჩვენი თანამემამულე თუ მაინც ქართველი კაცი? სტალინის ფენომენი დიდხანს დააფიქრებს კაცობრიობას. ჩვენ, ქართველებს, ერთი კითხვა მაინც ყველაზე მეტად გვაწვალებს: ყვარდა თუ არა მას სამშობლო, ახსოვდა თუ არა საქართველო?..".

სწორედ ასეთი დასახელების წიგნი გამოვიდა ამ დღეებში წიგნის აზარზე, ცნობისმოყვარე მკითხველი მასში ამ და მრავალ სხვა არანაკლებ საინტერესო კითხვაზე პასუხს იპოვის. ავტორია ცნობილი წერალი თამაზ ნატროშვილი. ვინც მის ნაწერებს იცნობს, ლბათ, დაგვეთანხმება, რომ მას კარგად ეხერხება მკითხველის გულისყურის მიზიდვა. ეს ახალი წიგნიც ასეთი გახლავთ, გირჩევთ, წაიკითხოთ ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ეს დამაფიქრებელი ფურლები.

გთავაზობთ ერთ თავს თამაზ ნატროშვილის წიგნიდან „ახსოვდა ი არა საქართველო".

ახსოვდა თუ არა საქართველო...

დამჭკნარი კოკორი

ერთი თავი წიგნიდან

95 წლის 14 ივნისს აზეთ „ივერიაში", ილია ჭაე რომ რედაქტორობდა, პისავე გვერდზე დაიბეჭდა ველი საზოგადოებისათვის ბი პიროვნების უსათაურო ი ამგვარი ხელმოწერით: შვილი, არც ილია ჭავჭავაცოდა და ათას გულთმისანსერ დაესიზმრებოდა, რომ ამ მეტი წლის ყრმის სახელი ათი წლის შემდეგ მთელ ლიოს მოეფინებოდა, როგ- დედამიწის ერთი მეექვის მბრძანებლისა.

ოსებ ჯუღაშვილის პირველი და ლაზე პოპულარული ლექსი დგომში იაკობ გოგებაშვილმა ტანა თავის „დედა-ენაში" და თველ ყმაწვილთა თაობანი ითად იზეპირებდნენ ამ მართც მშვენიერ ლექსს:

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იას,
ზამბახსაც გაეღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.

ტოროლა მაღალს ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით ჰგალობდა,
ბულბულიც, გრძნობით აღვსილი,
ნაზის ხმით ამას ამბობდა:

„აჰყვავდი ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!".

იმავე 1895 წელს, იმავე „ივერიის" ფურცლებზე კიდევ დაიბედა მისი რამდენიმე ლექსი, ამრად — „სოსელოს" ხელმოწერ- ურიგო ლექსები არ ყოფილა, ამ მაინც ჩამოუვარდებოდნენ ირველს — ნათელსა და უბრს, საოცრად მომხიბვლელსა ილასავით ხალისიანს.

ამამად შეიძლება ითქვას, რომ ელოს ლექსი მართლაც ამშვედა გაზეთის მორიგ ნომერს. სხვა რა გაახარებდა მკითხვესულსა და გულს? საკმაოდ ლად იყო გამუქებული უცხს ამბები: ფულის მოსაგებად ლი ეთმობოდა სხვადასხვა ის ექიმთა სარეკლამო განცხბებს; შინაურ ამბებსაც უხვგაეცნობოდით: საქართველოს კარმართებელი გენერალ-ადინტი შერემეტევი სამკურნალო ებზე მიემგზავრებოდა პიატიკსა და კისლოვოდსკში, ხოლო ეთის ფინანსთა მინისტრის ეს ჩამოსვლას ბორჯომში დასენებლად აგვისტოს თვეში მოოდნენ.

უწმინდესი სინოდი საჭიროდ ინევდა, რომ აეკრძალათ იერულიმიდან ჩამოსულ პირთა მიერ ებით ან წმინდანთა ნაწილებით რობა, რადგანაც სასტუმროებსა თუ დაქირავებულ ბინებში სათანადო წესითა და რიგით ვერ ინახავდნენ. და ამის მაყურებელ ქრისტიანეებს წმინდა ნივთების სასოება ეკარგებოდათ.

პროვინციიდან მოსული კორესპონდენციებიც ვერ ანუგეშებდა მკითხველს. განსაკუთრებით შემაძრწუნებელი იყო ი. იანეთელის წერილი სოფელ იანეთიდან (ქუთაისის მაზრა). იანეთელი იუწყებოდა შემდეგს: ყვავილი და წითელა ისე დაერია ხალხს, რომ მუსრს ავლებსო. მგონი ოჯახი არ დარჩენილა, სადაც ერთი ბავშვი მაინც არ ემსხვერპლა, ბევრგან კი მთელი ოჯახები ამოწყდაო; ავადმყოფთა მომვლელებს სამუშაოდან მოცდენა უწევდათ და ყანები სანახევროდ დაუთესავი დარჩენილიყო. მოსალოდნელი იყო შიმშილი და უარესი გაღატაკება.

კორესპონდენტი გულისტკივილით წერდა: „ორი თვეა, რაც ეს ხალხის გამანადგურებელი სენი მძვინვარებს და მომხედავი კი არავინ არის: არც ექიმი და არც უბრალო დამრიგებელი, რომელმაც აუხსნას მაინც ხალხს, თუ ყვავილიანს როგორ მოუარონ".

მოვლა კი საუცხოო სცოდნიათ!

გაოგნებული იანეთელი აგვიწერს ავადმყოფის ოთახში გამეფებულ ანტისანიტარიას: ოცი დღის დაგროვილი ხორაგი თავისი სუნით იქაურობას წამლავდაო. მომვლელმა დაუკრა ჩონგური და „ბატონებს" ნანა დაუმღერაო. „საშინელი სანახავი იყო ერთის მხრით ძალზე მწუხარე დაბრმავებული ავადმყოფი და მეორეს მხრით ჩონგური და მაზედ სიმღერა", — აღნიშნავს კორესპონდენტი. იგი ატირებულა და გარეთ გავარდნილა.

საქმე ვერც სხვაგან იყო რიგიანად.

კორესპონდენცია ქვემო მაჩხაანიდან (სიღნაღის მაზრა) გადმოგვცემდა ჩარჩ-ვაჭართა ბასრ ბრჭყალებში ჩავარდნილი გლეხების უნუგეშო მდგომარეობას. ცხინვალში გამუდმებულ წვიმებსა და სიცივეს ახალი უბედურება დაერთო — ავაზაკთა ხუთკაციანი რაზმი ვინმე ილიკო ფუხაშვილის მეთაურობით იქაურობას იკლებდა. ახალ-სენაკსა და ქალაქის შორის მატარებლის მიმოსვლა შეეჩერებინათ, რადგანაც რიონი ადიდებულიყო და თექვსმეტი ვერსით წალეკა მიდამო.

სამაგიეროდ კულტურის დარგს არ ეთქმოდა აუგი.

სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშად გაზეთში იბეჭდებოდა „მადამ სენჟენ" (მოურიდებელი ქალბატონი) — ოთხმოქმედებიანი კომედია სარდუსი და მოროსი, თარგმანი კოტე მესხისა.

ალ. ხახანაშვილი დადებითად გამოეხმაურა მოსე ჯანაშვილის მიერ ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიის" მე-2 წიგნის (ქართლი) გამოცემას. „სუფთად და იაფად გამოცემული ახლად გეოგრაფია ვახუშტისა ბევრს მკითხველს მოიპოვებს", — ასკვნიდა რეცენზენტი.

ბოლო გვერდზე — ისევ სარეკლამო განცხადებანი სიცოცხლის დამზღვევი საზოგადოებისა, აგრეთვე: დუხები „საფო" (საუცხოვოა და სასიამოვნოა) და საპონი „საფო" (მშვენიერი სუნი აქვს და მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს).

ვატყობ, ძალიან გამიგრძელდა გაზეთის რიგითი ნომრის განხილვა, მაგრამ რიგითს როგორღა დავარქმევ, როდესაც მომავალი ხალხთა ბელადის ლექსია გამოქვეყნებული.

თავდაპირველად, როგორც ჭეშმარიტმა ქართველმა, პოეტობა სცადა. ეგებ გაგონილი ჰქონდა დოსტოევსკის პარადოქსული ფორმულა: კაცობრიობას მშვენიერება გადაარჩენსო.

ლექსს მოუსინჯა კბილი და, როგორც ვხედავთ, საკმაოდ იღბლიანად. არც ილია ჭავჭავაძე დაუბეჭდავდა პროტექციით და არც იაკობ გოგებაშვილი განიზრახავდა ქართველ ყმაწვილთათვის განკუთვნილ ცოდნის საგანძურში მიეჩინა ადგილი უცნობი ჭაბუკის უხეირო ლექსისათვის.

ბავშვობისას ამ ლექსს რომ გვასწავლიდნენ სკოლაში, არავინ გვაფრთხილებდა, ეს პატარა ლექსი დიდი სტალინისა არისო (ისედაც ვიცოდით) და არავინ გვემუქრებოდა, ერთი სიტყვაც არ შეგეშალოთ, თორემ ციმბირი უკან დაგვრჩებათო. ლექსი წითელი ფერის, მსხვილი შრიფტით არ იყო დაბეჭდილი და სხვებს როდი ჩაგრავდა თავისი გაღმერთკაცებული ავტორის წყალობით. არავითარ განსაკუთრებულ აღფრთოვანებას და საზეიმო განწყობილებას არც განვიცდიდით და არც გამოვხატავდით გაკვეთილზე ბელადის ლექსის წარმოთქმისას.

ცხონებული ხრუშჩოვის დროს, საყმაწვილო სახელმძღვანელოდან ამოიღეს ეს მშვენიერი ლექსი, რადგანაც სტალინის კალამს ეკუთვნოდა. ხრუშჩოვს რასაკვირველია არც ეცოდინებოდა, რომ ათასგზის წყეული სტალინის ლექსს ასწავლიდნენ ბავშვებს და საფიქრებელია, რომ „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი" ადგილობრივ ინიციატივას შეეწირა. ოღონდ დაავიწყდათ, რომ „რეპრესირებული" ლექსის ავტორი გახლდათ არა გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, არამედ — თექვსმეტი წლის სოსელო.

სტალინის ყმაწვილობის დროინდელი მეგობარი იყო სოსო ირემაშვილი. ერთად უსწავლიათ გორის სასულიერო სასწავლებელში და თბილისის სასულიერო სემინარიაშიც. იგი 1922 წელს გადაასახლეს საქართველოდან, როგორც მენშევიკი და ათი წლის შემდეგ გერმანულ ენაზე გამოსცა წიგნი „სტალინი და საქართველოს ტრაგედია", სადაც წერს: „ჩვენ და ჩვენს მშობლებს სამშობლო და ქართული ენა ძალიან გვიყვარდა. მშობლების მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდით. რუსი მასწავლებლებისადმი ზიზღი კი იმდენად დიდი იყო, რომ მათზე შურისძიება ერთადერთ მოთხოვნილებად გვექცა". ხოლო ქართული ენის მოძულე მასწავლებლებზე შურისძიების წამქეზებელი და მოთავე სოსო ჯუღაშვილი ყოფილა — ერთდროულად საუკეთესო და უწესო მოწაფე.

სოსო ირემაშვილი იგონებს სტალინის შესახებ: „მე და სოსო ხშირად ვსაუბრობდით საქართველოს ტრაგიკულ ბედზე, აღფრთოვანებული ვიყავით „ვეფხისტყაოსნით", სოსოს იდეალი იყო ალ. ყაზბეგის ნაწარმოების „ნუნუს" გმირი კობა. კობა დამონებული მთის ხალხის მეთაური იყო, ვინც რუსებმა თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეიპყრეს და დაატყვევეს. კობა სოსოს ცხოვრების არსად და იდეალად იქცა. მას უნდოდა მეორე „კობად" ქცეულიყო... სახე სიამაყით და სიხარულით უბრწყინავდა, როდესაც „კობათი" მივმართავდით".

მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენი ვაება იხილა ქვეყნიერებამ, რამდენი უმანკო სისხლი დაიღვარა... სტალინად გადაქცეულ სოსელოს კი, ალბათ, აღარც ახსოვდა თავისი ყრმობის დროინდელი ლექსები.

მაინც შეახსენეს მლიქვნელებმა. რუსი კრიტიკოსი ლევ ოვრუცკი იმოწმებს ცნობილ პოეტს არსენი ტარკოვსკის: 1949 წლის ერთ მშვენიერ ღამეს თურმე უცნობი სტუმრები ეწვივნენ. მაშინ სწორედ ლუბიანსკის პირდაპირ ცხოვრობდა და რატომღაც იფიქრა, იქ წამაბრძანებენო. მაგრამ ავტომანქანა დიდი თეატრის მიმართულებით დაიძრა, ბუტირკის ციხეში მივდივართო, დაასკვნა პოეტმა. ეს ვარაუდიც არ გამართლდა. მანქანა შემოუარეს და ავტომანქანა შესრიალდა... კრემლში. რომელიღაც ტალანებით, კიბეებით, აღმართდაღმართ ატარეს და ბოლოს შეიყვანეს კაბინეტში, სადაც ორნი იყვნენ: მალენკოვი (პორტრეტებზე ნახულს ადვილად იცნობდი) და ვიღაც მეორე — ჩაფსკვნილი და მელოტი (როგორც გამოირკვა — პოსკრებიშევი). ტარკოვსკის შესთავაზეს ქართულიდან რუსულ ენაზე ეთარგმნა იოსებ ბესარიონის ძის ყრმობის დროინდელი ლექსები — ახლოვდებოდა ბელადის დაბადების სამოცდაათი წლისთავი და მეგობრებს სურდათ, მისთვის სიურპრიზი მიერთმიათ. ტარკოვსკიმ რამდენიმე კვირა შესწირა ამ დავალებას, რამდენადაც საინტერესოს, იმდენადვე სახიფათოს. ამბავი კი ისევე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც დაიწყო. კვლავ მშვენიერ ღამით შეიყვანეს პოეტი იმავე კაბინეტში და მალენკოვმა უთხრა შემდეგი: „ამხანაგმა სტალინმა შეიტყო ჩვენი განზრახვის შესახებ და მისთვის ჩვეული ბოლშევიკური თავმდაბლობით გვთხოვა — ხელი აგვეღო ამ საქმეზე". მერე პორტფელები გაცვალეს. ტარკოვსკისათვის გადაცემულ პორტფელში აღმოჩნდა ჰონორარი, რომელიც საგრძნობლად აღემატებოდა პოეტის ჩვეულებრივ გასამრჯელოს.

ოვრუცკი ეკითხება ტარკოვსკის, ლექსები რაზე იყო დაწერილიო. მთებზე, ბუნებაზეო, უთქვამს ტარკოვსკის, ჩვეულებრივი ჭაბუკური ლექსებიო. ოვრუცკი ჩასცივებია: სატრფიალო ლექსები თუ შეგხვდაო? მაშინღა გაეცებულა ტარკოვსკი: უცნაურია, მაგრამ არ შემხვედრიაო.

ჩემი აზრით, უცნაური ის კი არ გახლავთ, რომ სოსელოს სატრფიალო ლექსები არ შეუქმნია (ყოველ შემთხვევაში — არ დაუბეჭდავს); უცნაური სწორედ ის იქნებოდა, რომ დაეწერა.

ცარსკოე სელოს ლიცეისტად ხომ არ წარმოუდგენიათ თექვსმეტი წლის უპოვარი ქართველი ჭაბუკი, დამონებული და დაჩაგრული ქვეყნის შვილი?

სოსო ირემაშვილის მოგონებით, „სოსო ჯუღაშვილი დაწყებითი სკოლის წარჩინებით დამთავრების გამო სემინარიაში უფასოდ ჩარიცხეს. იგი უფასოდ იღებდა სამჯერად კვებას, თეთრეულს, ფეხსაცმელსა და სასწავლო ნივთებს".

მადლობა ღმერთს, მშიერ-მწყურვალი არ ყოფილა, მაგრამ სოფელ იანეთიდან მიღებულ კორესპონდენციას ხომ წაიკითხავდა ანდა თავის პირსახეზე სამუდამოდ აღბეჭდილ ნაყვავილარს ვერა ხედავდა? სატრფიალო ლექსები მოსთხოვეთ სამშობლოსა და მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ გულანთებულ თექვსმეტი წლის ჭაბუკს!

მაგრამ ახლა ყური ვათხოვოთ ჰარისონ სოლზბერის — გამოჩენილ ამერიკელ ჟურნალისტს, მინესოტას უნივერსიტეტის ბაკალავრს ხელოვნების დარგში, მრავალი წიგნის ავტორს რუსეთზე, პულიცერის პრემიის ლაურეატს, რომელიც 1949-1954 წლებში გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტად მუშაობდა მოსკოვში და, როგორც ჩანს, საიდანღაც ხელთ ჩავარდნია ტარკოვსკის მიერ თარგმნილი ლექსები სტალინისა.

დადგა 1953 წლის მარტი. სტალინი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. „ნიუ-იორკ ტაიმსი" თავისი კორესპონდენტისაგან დაჟინებით მოითხოვდა ცინცხალ ინფორმაციას მოსკოვში შექმნილი ვითარების შესახებ. სოლზბერი დაიარებოდა ქალაქში, ესაუბრებოდა ნაცნობებს, აკვირდებოდა გამვლელთა სახეებს, დაუოკებელი ინტერესით გაჰყურებდა კრემლს, სადაც უკვე ფეთქავდა დიდი ვნებათა ღელვა უნიჭო მემკვიდრეებისა — დაცარიელებული ტახტის ხელში ჩასაგდებად. და ამერიკელი ჟურნალისტი წერდა ულმობლად და არაფრისმთქმელ რეპორტაჟს, ვინაიდან ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმალებოდა კრემლში, სადაც ამერიკელ კორესპონდენტებს არ შეუსვლებოდათ.

ჰარისონ სოლზბერი გულმოდგინედ ასრულებდა გაზეთის დავალებას. „მე დავწერე სხვა ამბავიც — მოგონებანი თბილისში სტუმრობაზე 1951 წელს, სტალინის ადრინდელ ლიტერატურულ კარიერაზე, მის რომანტიკულ ლექსებზე და დავიმოწმე ჩემი საყვარელი ლექსი „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი....".

სოლზბერი განაგრძობს: „მოწყალეო უფალო, ვფიქრობდი მე, როდესაც ამ სტრიქონებს ვაკაკუნებდი საბეჭდ მანქანაზე, რა დაემართა ამ გულუბრყვილო ჭაბუკს განვლილ წლებში! რა ძალამ გარდაქმნა ჯუღაშვილი სტალინად, თავისი სახელმწიფო სასაკლაოს რომ დაამსგავსა? რომელი ავსულები დაეპატრონენ ამ ქართველი ჭაბუკის სულს, შავგვრემანი სახე რომ ჰქონდა, აგზნებული თვალები და რომანტიკული განწყობილება?"

გამოჩენილი ამერიკელი ჟურნალისტი ამბობს: ჩემი საყვარელი ლექსი არისო (თითქოსდა უკეთესი არაფერი წაეკითხოს!); იგი არც კომუნისტი ყოფილა და არც საბჭოთა კავშირის „პროგრესული" გულშემატკივარი, ობიექტური კორესპონდენტი გახლდათ საქვეყნოდ სახელგანთქმული ამერიკული გაზეთისა. „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი" — ჩემი საყვარელი ლექსი არისო!

მაშ რატომღა წაართვეს ეს მშვენიერი ლექსი ქართველ ყმაწვილებს? ანდა რატომ ჩამოჰგლიჯეს თბილისის ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობის კედლიდან პატარა დაფა, სადაც ეწერა— სტალინი აქ სწავლობდაო. ეს ხომ ისტორიაა! ნუ ჩამოხსნიდნენ და შეესწორებინათ — სტალინს აქ არ უსწავლიაო. ბარემ სახლ-მუზეუმიც მიწასთან გაესწორონ გორში — აქ არ დაბადებულაო, საერთოდ ქართველი არ ყოფილაო. ბარემ ამოძირკვონ გორის ციხის ახლოს მდგარი ჭადრები, წლების მანძილზე ერთიმეორეს რომ ეკითხებოდნენ: აქ რომ ბიჭი თამაშობდა, ნეტავ ახლა სად არისო?

სხვათა მიბაძვით ვლამობთ სტალინის განქიქებას და გაცამტვერებას ათასგვარი სიცრუითა და ცილისწამებით, ანდა — ხალხის მეხსიერებიდან სამარადისოდ ამოშლას. მაგრამ თვით რუსეთში მკვდრეთით აღადგინეს სახელები მათთვის არანაკლებ ოდიოზური ფიგურებისა, ტროცკი იქნება, თუ გენერალი ვლასოვი. ჩვენ კი მაინცდამაინც იმავე რუსეთიდან ჩამოტანილი უხამსი და დასაგმობი გაკვეთილები დაგვიზუთხავს გულდასმით... ჭურს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო, — გვამცნობს ქართული ანდაზა. ნუთუ მართლა ჭურებს დავემსგავსეთ?

პიკასოს დაუოკებელი შემოქმედებითი ენერგიის ვულკანმა რა მარტო სახვითი ხელოვნების ამოუკლებლად ყველა ჟანრი ოიცვა, არამედ ყველა შესაძლებელი თემა — მითოლოგიიდან ოლიტიკამდე.

და მაინც, მის შემოქმედებაში ოლიტიკური გრაფიკა განცალკევებით დგას. ის არც ისე ცნობილია და არც თუ განსაკუთრებით იზიდავდა მხატვრის შემოქმედების დამფასებლებს, თუმცა ეგულარულად ქვეყნდებოდა პერიოდულ გამოცემებში და ამდენად, ყველაზე ხელმისაწვდომი იყო. დიდი ოსტატი საფესტივალო პლაკატებს და კონგრესებისათვის განკუთვნილ აფიშებსაც ა თაკილობდა, რის შედეგადაც ვდავყო კიდეც თავისი ცნობილი მშვიდობის მტრედი.

პიკასოს ორი ქართველი

ს განსაკუთრებით კეთილად ა განწყობილი „იუმანიტეს" რთ, რომლის ფურცლებზეც თლე იხილა მისმა ასზე მეტნახატმა. ეს გარემოება შეიძა აიხსნას, როგორც მისი კომუნისტური ილუზიებისას მიძღვნილი ხარკი. თუმცა, გრაფიკა მარტოოდენ შინაარით იყო პროკომუნისტური (კაენის, ტორეზის, ბელოიანისის, აჩადოს პორტრეტები და სხვა), მაგრამ, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე იდეალისტური იყო თავისი ფორმით.

პიკასოს ქართველი დამფასებლები ერთ ასეთ ნამუშევარს საერთოდ არ იცნობენ. „იუმანიტეს" საიუბილეო ალბომიდან შემოგვცქერის სტალინის სახე,

PICASSO
146 dessins pour la presse et les organisations démocratiques
l'Humanité

რომელიც ბელადის მრავალრიცხოვან გამოსახულებათაგან არც ერთს არ წააგავს. მას არც კი შეიძლება პიროვნების გამოსახულება ეწოდოს. უფრო კი ეს არის გამოსახულება არსისა, სულისა — გულჩახვეულის განუჭვრეტელის. ოსტატი თვით არსს ჩასწვდა.

პიკასოს ყურადღების ღირსი გახდა კიდევ ერთი ქართველი — ფიროსმანი. ერთი შეხედვით ინტერესის უცნაური პოლუსებია. ფიროსმანის დახატვა პიკასოს სთხოვა ცნობილმა ილია ზდანევიჩმა თავისი წიგნისათვის, რომელიც პარიზში 70 ცალი ტირაჟით გამოიცა. ფიროსმანი გამოსახულია აშკარად ზდანევიჩის გუნება-განწყობის მიხედვით — მშრალი ნემსის ტექნიკით, წერტილოვან-ხაზოვანი კომპოზიციით, რაც სამწუხაროდ, თითქმის ვერ აისახება საგაზეთო რეპროდუქციით. ამოცანა აქ პორტრეტი კი არ არის, არამედ საძიებო თემის, ბედუკუღმართი და ბედნიერ ფილანთროპის შეფოთვის, მღელვარების პირობითი გადაწყვეტა.

თავიანთი ხატებით, ინტერესებით, პრინციპებით, ამდენად, საპირისპირო ორი ქართველის პიკასოსეული პორტრეტები ორი მჭევრმეტყველი მეტაფორაა, ერთმანეთს რომ გამორიცხავენ: გულდახურულობისა და მბრძანებლურობის მეტაფორა და სიყვარულისა და მიმტევებლობის მეტაფორა.

იური მოსეშვილი.



პაბლო პიკასო. ი. სტალინისა და ფიროსმანის პორტრეტები.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

ხოსე ადეიშვილი

ისევ იმ ძველი გრძნობით გიყურებ

ზოგჯერ მეც ბევრი რამე შევცოდე,
გზის გასაყართან ისე მოვედი.
მადლობელი ვარ შენი ესოდენ,
გვერდში მედექი დღემდე ყოველთვის.

ცხოვრება შემხვდა მწარე და მძიმე,
რასაც ვერ გრძნობდა ზოგჯერ მავანი.
ჩემს თვალში აწი ვერ შეგცვლის ვინმე,
მაინც შენა ხარ ჩემთვის მთავარი.

რადგან თავიდან გიწამე ღმერთად,
შენთვის მზადა ვარ დავთმო სიცოცხლე.
მცხეთაში წავალ მეც შენთან ერთად,
შენი გულისთვის ისევ ვილოცებ.

ისევ უმწიკვლოდ პატივს გცემ დღესაც,
ისევ იმ ძველი გრძნობით გიყურებ.
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს ჩემსას,
ოღონდ ყოველთვის შენად მიგულე!

ლომის ცხოვრებით იცხოვრე

დათუჩას

განგების ნებით ამ ქვეყნად შენ გაჩნდი სიყვარულისთვის

მეგობრად უღლის გამწევი, არ მოიყვანო უღირსი.

სხვა ვინმე არ შეიყვარო, გულში ჩაიდე მთავარი

ამირანივით ზეციდან ჩამოიყვანე ყამარი.

შენი უფროსი ძმებია ავთანდილი და ფრიდონი.
არასდროს არ დაგავიწყდეს გამარჯვებული დიდგორი.

პატარა ლომის ბოკვერო, ყოველთვის ფხიზლად იყავი,
ფაფარაყრილი ლომივით ამოიყარე მტრის ჯავრი.

ლომი მე თვითონ შეგარქვი, გეძახი ზედმეტ სახელად,
ლომის ცხოვრებით იცხოვრე, ყოველთვის დაუმარცხებლად.

რაც დრო გადის...

რაც დრო გადის უფრო მკაცრი გავხდი,
ვუფრთხილდები შენს უმწიკვლო სახელს.
ბავშვობიდან გულის-გულში მყავდი,
უწმინდესთან დავიფიცებ ხატზე.

მხოლოდ შენზე ვამყარებდი იმედს,
ჯვარცმულივით ვუყურებდი მყოფადს.
ფინიშამდე მივაღწიე მცირეს,
ცხოვრებაში მეტი შანსი მქონდა.

გული მაინც უნუგეშოდ დარჩა,
ისევ ისე წლებს მიყვება წლები.
არც სიკეთის სხვა ნიშანი არ ჩანს,
დავილალე ძიებით და ძებნით.

რუსთაველზე გავლაც აღარ მინდა,
ყველაფერმა მომაბეზრა თავი.
სუსხიანი წვიმა მოდის ციდან
გულსაკლავი მარტის თვეა მყრალი.

ნუღარ დაახანებ

უნდა დავთმო მამული
ქრისტეს უნდა ვენდო.
მიწაზე სიყვარული
გახდა უიმედო.

სიკვდილს ვზვერავ შორიდან,
გაჩენის დღეს ვწყევლი,
ენა ვერ ამომიდგამს
მიწადასაყრელი.

წუწუნი არ მჩვევია,
შეიძლება მოვკვდე.
რა ვქნა, როგორც ჩემიანს
მაინც თავს გაცოდებ.

უკვე ვეღარ ვხედავ მზეს,
მოდის შავი ღამე.
ჩემი აღსასრულის დღეს
ნუღარ დაახანებ!

სიყვარული არ გეგონოს მართლა თამაში

სიხარული დამიბედე კიდევ მრავალი,
შემიწყალე, მიმასწავლე გამოსავალი.

არ დახარო დამნაშავემ ჩემს წინ თვალები
მთლად დამედე, მომირჩინე ნაიარევი.

ერთხელ მაინც გაიმეტე ჩემთვის ღიმილი
გამახარე, დამავიწყე გულის ტკივილი.

არ გამცვალო, არ ჩამაგდო დარდუბალაში,
სიყვარული არ გეგონოს მართლა თამაში.

გადამეწურა ბედი

გადამეწურა ბედი,
დავდივარ ჩემთვის მარტო,
სიტყვამ დაკარგა პეწი,
არც კაცი არ ჩანს სანდო.

გული სხვა განცდით ფეთქავს,
მაინც მაწვალებს იგვი.
ყოველდღე პურს ვჭამ მკვდრებთან,
ცოცხლებთან ყოფნა მიჭირს.

შიში მატულობს ჩემში,
აღარც ღირს ჩემი ყოფნა.
შარშან დეკემბრის თვეში
მამიდაჩემიც მოკვდა.

არსით არა მაქვს სხვა გზა,
ხმას ვეღარ ვიღებ რიხით,
მარილზე გასვლა გაღმა
აწი მე მიწევს რიგით.

მოსაგონარი

განსაცდელში სხვებისათვის სულ სიკეთეს ნატრობდი,
ბევრჯერ თავი წაგიგია შენი დარდიმანდობით.

თავად ბედი არ გწყალობდა, სხვების ბედზე ფიქრობდი,
მოფერებაც, სიყვარულიც, სხვაზე მეტი იცოდი.

ძველ სიმღერებს იხსენებდი, გიტარაზე მღეროდი,
გიჭირდა თუ არ გიჭირდა, სტუმარს მაინც ელოდი.

არასოდეს არ გქონია სახლი გამოკეტილი,
ყველას თავზე ევლებოდი, გული გქონდა კეთილი.

შენი დიდი ხაძმო გყავდა, გიყვარდა ძმაბიჭები,
გაწკეპილი დადიოდი, თავზე ბუზს არ იჯენდი.

ორმოცი დღეც არ გასულა, რაც გვაჭამა სირცხვილი,
შენი სატრფო სხვას მითხოვდა, გილალატა „ჭიპილი".

არ ველოდი არასოდეს

მაგონდება წარსული და დროსტარება ძველი,
ისე ძმურად გავატარეთ ბოლო ოთხი წელი.

თავს შენს გვერდით ისე ვგრძნობდი, როგორც სამოთხეში,
შიში იოტის ოდენი არ ყოფილა ჩემში,

მხოლოდ მარტო სიყვარული იყო ჩემი ბობი,
არც რაიმე არ მქონია შენთან გასაყოფი.

მე მეგონა ძმობა იყო შენთვის ყველაფერი,
გულს ყოველთვის ვიმშვიდებდი გიყურებდი რწმენით.

შენში უფრო ვაფასებდი ერთგულების ტალანტს,
არ ველოდი არასოდეს შენგან კაცის ღალატს.

ბიჭებად დარჩნენ ბოლომდი

შენზე ოცნება მტანჯავდა,
შენზე ვფიქრობდი ყოველთვის.
ყოფნა-არყოფნის საზღვართან
ტანჯვა-წამებით მოვედი.

ყველა მოქიშპე, ბიძიკო,
სისხლს მწოვდა როგორც წურბელა.
უნებისყოფო ვინც იყო,
თავი გაყიდა სუყველამ.

ამდენმა მტრობამ და ბოღმამ
გადააჭარბა მოლოდინს.
გალაკტიონი და გოგლა
ბიჭებად დარჩნენ ბოლომდი.

გულისწყრომა

მუქარით და ჯიბრით და ვერც ძალისხმევით
ვერაფერი შენთან ვერ გავაწყვე ჩემით.

რა თქმა უნდა, ვალებს ვიხდი ნაწილ-ნაწილ,
ყველაფერში შენთან მართალი ვარ აწი.

დღემდე მხოლოდ შენით — შენი რიდით ვწერდი,
ღმერთმა ნუ მოასწროს სხვასაც ჩემი ხვედრი.

რაც ვეწამე შენგანით, მოგიყვები სხვა დროს,
ყველაფერი ძაღლის ნაკბენივით მახსოვს.

დამილონდა გული, რაც გამოხდა ხანი,
სუყველაფერს თითქოს გაუვიდა ყავლი.

სხვა ძალა აქვს მაინც სიტყვას შენგან ნათქვამს...
მე არ ვიცი, მაინც კაცმა რა უნდა ქნას.

ჩვენი პუბლიკაციები

თურქეთის არქივსა და წიგნთსაცავს პირველად ეწვია ქართველი

საქართველოს ელჩმა ანკარაში პროფესორმა ნოდარ კომახიძემ, პირველმა ქართველ მეცნიერთაგან, შეაღო ოსმალეთის (დღეს თურქეთის) სახელმწიფო არქივის და წიგნთსაცავის კარები, რომლებიც 500 წლის მანძილზე ჩვენთვის დახშული იყო.

სამეცნიერო ბრუნვაში შემოდის ჩვენთვის სრულიად უცნობი წარსულის ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც ჩვენს ისტორიოგრაფიას ახალი ცნობებით ამდიდრებს და საშუალებას გვიქმნის შევავსოთ ის ხარვეზები, რომლებიც ბედის სიმუხთლის გამო, გააჩნია ჩვენს ისტორიას.

დღეს ქართველი მკითხველი ეცნობა ამ სერიის პირველ დოკუმენტს — ოსმალეთის ფადიშაჰის მაჰმუდ მეორის (ზეობის წლები 1808-1839 წ.წ.) წერილს იმერეთის მეფე სოლომონისადმი, რომელიც 1811 წლის 26 მარტს არის დაწერილი. ამ წერილში საუბარია იმ ხანის ურთიერთობებზე საქართველო-ოსმალეთ-რუსეთს შორის, რომელიც ერთობ ახლებურ შუქს ფენს მათს სიმძაფრეს, თავისებურებებს და საერთოდ საქართველოს სვე-ბედს, მუდამ რომ გარე სახელმწიფოთა მძაფრი დაპირისპირების შუა გულში იმყოფებოდა.

...ისე კი მაჰმუდ მეორე ოსმალთა მიერ განმაახლებლად და რეფორმატორად აღიარებული (იენილიკჩი) მეკობრეების მიერ გატაცებული ქართველი ქალის შვილი იყო, რომელმაც ოსმალეთის სულთნის კარს ოთხი ფადიშაჰი აღუზარდა — ერთი შვილი და სამი შვილიშვილი. მისი ოსმალური სახელია ნაკშიდილ სულთანი. ამ ცნობებს ბატონმა ელჩმა ანკარაში მიაკვლია და სრულიად მალე შემოგვთავაზებს.

ოსმალთა ფადიშაჰის მაჰმუდ II-ის მიერ აჩიკბაშთა (იმერელთა) მეფის სოლომონისადმი გაგზავნილი წერილი

მაჰმუდ II-ის 1811 წლის 26 მარტით დათარიღებულ წერილში საუბარია იმის თაობაზე, რომ ქვემო და ზემო იმერეთის თავადების მეშვეობით გაგზავნილი აჩიკბაშთა (იმერელთა) მეფის სოლომონის და მისი თავადების არზა სტამბოლში მიღებულ იქნა. არზაში ნათქვამია, რომ ქართველი ხალხი, რომელიც ოდითგანვე ოსმალთა სახელმწიფოს ერთგული იყო, რუსეთმა სხვადასხვა დაპირებებით და ეშმაკობებით მოატყუა, საქართველო ოკუპირებულ იქნა, ხოლო აჩიკბაშთა მეფე სხვადასხვა მუქარის გამო გადაიხვეწა, მაგრამ მეფეს რუსების წინაშე ქედი არ მოუხრია, მათი საწინააღმდეგო მოძრაობა დააწყებინა (ხალხს), თვით კი ახალციხეში იმყოფება. არზის ჩამომტანი თავადები ამგვარი სურვილებით არიან გამსჭვალული.

მას შემდეგ, რაც საქართველო ოსმალეთის შემადგენლობაში შევიდა, ქართველ ხალხს ოსმალთა სახელმწიფოს მხრივ გარდა პატივისცემისა და კარგი განწყობისა, უსაფრთხოებისა და სიმშვიდისა, სხვა არაფერი უნახავს რა. საერთოდ კი, ოსმალთა სახელმწიფოს მმართველობითი სისტემის არც ერთი უბანი უმიზეზოდ მათ რელიგიურ წესებსა და ტრადიციებში არ ჩარეულა. ეს ვითარება ყველამ იცის, რის გამოც, ცხადია, რომ ქართველი ხალხი ასეთ სამართლიან და სიმართლისმოყვარე სახელმწიფოს არ მიატოვებს და რუსეთს არ დაემორჩილება. ამ ვითარებაში აჩიკბაშთა მეფე და

Nakşidil Sultan'ın
çözülemeyen sırrı
N

ქართველი ხალხი ოსმალთა სახელმწიფო მფარველობის ქვეშ იმყოფება, ერზრუმის გუბერნატორს და აღმოსავლეთ ფრონტის მთავარსარდალს ემინ ფაშას და ჩილდირის გუბერნატორს შერიფ ფაშას გაეგზავნათ ბრძანებები, რომ საქართველოსთვის დასახმარებლად რაც შეიძლება სწრაფად გაგზავნონ სამხედრო იარაღი და სათანადო ზომები მიიღონ, რათა რუსები საქართველოდან იქნან გაყვანილნი.

გარდა ამისა, მეფის ამ ღირსეული საქციელის ნიშნად იმერეთის სამეფო იგივე უფლებებით იქნას დატოვებული, რისთვისაც მეფეს სიასამურის ხალათი და სახარჯოდ ხუთი ათასი ყურუში გაეგზავნოს. მეფემ საჩუქრები მოიხმაროს, მომავალშიც იყოს ოსმალთა სახელმწიფოს ერთგული, თავის ხალხსაც უთხრას იმის შესახებ, რომ ვინც ოსმალთა სახელმწიფოს ერთგული იქნება, მათაც დააჯილდოებენ.

●

სურათზე: თურქული ჟურნალის ერთი გვერდი, რომელშიც ლაპარაკია საქართველო-თურქეთის ისტორიულ ურთიერთობათა შესახებ.

ინფორმაცია

აღდგა აფხაზეთის ქალთა საბჭო

აფხაზეთის ქალთა საბჭომ თავი აღდგენილად გამოაცხადა, თავმჯდომარედ აირჩია როზა კუხალაშვილი, მიიღო წესდება და აირჩია პრეზიდიუმი.

რესპუბლიკის ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზინაიდა კვაჭაძემ თქვა, რომ ქალთა საბჭოს ძალისხმევით შექმნილია აფხაზეთში მებრძოლ ქალთა საბჭოს და აფხაზეთის ქალთა დახმარების ფონდები, დახმარება გაეწია აფხაზეთის ომში მყოფ ქალ ჟურნალისტებს, აფხაზეთში მცხოვრებ ქალებს, მაგრამ გასაკეთებელი ძალიან ბევრია.

აფხაზეთის ქალთა საბჭოს წევრებს აღდგენა მიულოცეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ერქვანიამ, თავმჯდომარის მოადგილემ ლორიკ მარშანიამ, აკადემიკოსმა ნინო ჯავახიშვილმა და სხვებმა.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

მანიაკურ მისწრაფებათა ტყვეობაში

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც გმობს პარლამენტის წევრის ბორის კაკუბავას ავანტიურისტულ, პროვოკაციულ განცხადებას და მიაჩნია, რომ იგი უაღრესად საშიშ ხასიათს ატარებს.

სწორედ ამგვარმა განცხადებებმა მოუტანა საქართველოს უბედურება, განაპირობა აფხაზეთის ტრაგედია. ბ. კაკუბავა, ჩანს, მანიაკურ მისწრაფებათა ტყვეობაში იმყოფება, და მან კიდევ ერთხელ გამოავლინა სრული უპასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე. ცხოვრებამ ბორის კაკუბავა პოლიტიკის მიღმა დატოვა. მისი განცხადება საქართველოში დამარცხებული ექსტრემისტული აზროვნების ბოლო გაბრძოლებაა, — ნათქვამია განცხადებაში.

უჩვეულოა, არა?!

4 **მარტიდან** საქენერგომ გადაუხდელობის გამო, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა ბოლნისის რაიონის მოსახლეობას. რაიონის მცხოვრებლებს მოუწევთ 200 მილიარდ კუპონზე მეტის გადახდა. რაიონის გამგეობის ხელმძღვანელობის აზრით, ახლანდელ პირობებში მოსახლეობას ამ თანხის გადახდა არ შეუძლია. რაიონული ბიუჯეტიდან ვალის დასაფარავად გამოიყოფა მთელი თანხის 20 პროცენტი. ამავე დროს, თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა და მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი ისევ იღებენ ელექტროენერგიას. როგორც გაირკვა, მათ საქენერგოს ვალი არა აქვთ.

მიტინგი დედა ენის ბაღში

დედა ენის ბაღში საზოგადოება სტალინმა გამართა მიტინგი, რომელშიც 400-მდე ადამიანი მონაწილეობდა.

მიტინგი გახსნა სტალინის საზოგადოების გორის რეგიონის ხელმძღვანელმა ოთარ ჭილაძემ. სიტყვები წარმოთქვეს გრიგოლ ონიანმა, ზაურ მაჭავარიანმა, კოტე ჩხეიძემ და სხვებმა. მათ ისაუბრეს 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული მოვლენების შესახებ.

გადაწყდა, რომ მომავალში დედა ენის ბაღში კვლავ დაიდგას სტალინის ძეგლი და აიგოს 9 მარტს დაღუპულთა მემორიალი.

ჟიული შარტავას უკვდავსაყოფად

გაიმართა ჟიული შარტავას ფონდის თელავის ფილიალის დამფუძნებელი კრება, რომელმაც აირჩია ფონდის ფილიალის გამგეობა, მზრუნველთა საბჭო და სარევიზიო კომისია.

ჟიული შარტავას ფონდის თელავის ფილიალის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია რაიონის გამგებლის მოადგილე ნანა ხოზაშვილი. ახლად შექმნილი ორგანიზაციის მიზანია, ხელი შეუწყოს ჟიული შარტავას ხსოვნის უკვდავყოფას.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

გოლუაფირო-შემოგევლე!

მართლაც რომ ერთმანეთის თანადგომის სურვილით, შემოვლებასავით, გოლუაფიროთი ჟღერდა მეგრული, საქართველოს ამერ-იმერის სიმღერები ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართულ კონცერტზე, რომლის თემა მეგრული სიყვარულის გამომხატველი სიტყვები „სკანი გოლუაფირო“ იყო.

თქვენ შემოგევლეთ, ერთად ვიყოთ, ერთიან საქართველოთი და ყველაფერს დავძლევთ, ყოველ ჭირ-ვარამს, რაც შეგვყრია, — ასე ეხმიანებოდა კონცერტის სულს ყველა მონაწილის გამოსვლა. „კუჩხი ბედინერი“, „ოდოია“-ს მღეროდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის აკადემიური დამსახურებული ანსამბლი სახალხო არტისტ ჯემალ ჭკუასელის ხელმძღვანელობით, ხმატკბილი ჩონგურები აახმიანეს ანსამბლების „მავშალიას“, „არაგველების“, „ზმების“, „კელეპტრის“ მონაწილეებმა. ჟღერდა ძველისძველი კოლხური, თანამედროვე მეგრული სიმღერები, სალაღობოები. ყმაწვილთა ანსამბლმა „ამერ-იმერი“ წარმოადგინა ძველი მეგრული ყოფითი სცენები, იმღერეს ლაზურად, მეგრულად, გამოთქვეს ანდაზები, იგავ-არაკები. — ანსამბლის არც ერთი ბავშვი, — თქვა საქართველოს სახალხო არტისტმა ბორის წიფურიამ, რომელიც კონცერტს უძღვებოდა, წარმოშობით კოლხი არაა და მაინც შესანიშნავად დაეუფლნენ მეგრულს. მღეროდა კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია კინოფილმ „მაცი ხვიტიასათვის“ დაწერილ სიმღერას, მეგრულად შეუწყვეს ერთმანეთს ხმები მომღერალმა ეთერ კაკულიამ და მსახიობმა ნანა ფაჩუაშვილმა. გამოვიდა ფილარმონიის სოლისტი ნანა ბოჭგუა. „სკანი გოლუაფირო“, — ამბობდნენ კონცერტზე მოგონებებითა და სიტყვებით გამოსულები, საქართველოს სახალხო არტისტები გურამ გეგეჭკორი, კოტე მახარაძე, დიმა ჯაიანი, მსახიობები მურმან ჯინორია, ავთანდილ მიქაძე, ქართლოს კასრაძე და სხვები.

— სამეგრელოში საქართველო ვიხილეო, — დიდი ილიას ამ სიტყვებით საქართველოს სახალხო არტისტს ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით ანსამბლ „მართვეს“ მიერ შესრულებული „მრავალჟამიერის“ ფონზე დასრულდა კონცერტი. მან დიდი სიყვარულისა და თანადგომის, ერთმანეთს თავს შემოვლების სურვილი გაატანა სალამოზე მოსულებს.

სუპერშპიონი

მარტინ ბორმანიც „სუკ“-ის აგენტი ყოფილა?!

მარტინ ბორმანი ერთ-ერთი მთავარი ნაცისტი დამნაშავეა. ასეთია საყოველთაოდ ცნობილი დახასიათება, რომელსაც ვკითხულობთ ჩვენი თუ საზღვარგარეთელი ისტორიკოსების შრომებში. თითქოსდა, ყველაფერი დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ..

გელენისა და კანარისის დასკვნა

ერთტომიანი ენციკლოპედია „დიდი სამამულო ომი (1941-1945)“ გვამცნობს: „მარტინ ბორმანი (1900-1945?). 1925 წელს გახდა ფაშისტური პარტიის წევრი, 1933-ში მისი რაიხსლაიტერი და კავშირგაბმულობის გაერთიანებული შტაბის უფროსი; 1941-ის მაისიდან შედიოდა იმპერიის თავდაცვის მინისტრთა საბჭოში. 1943-ის აპრილიდან — ჰიტლერის პირადი მდივანი. ნიურნბერგის ტრიბუნალმა დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. 1973-ის აპრილში გფრ სასამართლომ ბორმანი გარდაცვლილად ცნო. უტყუარი მონაცემები მარტინ ბორმანის ბედის შესახებ არ მოიპოვება“.

დასავლეთ გერმანიის დაზვერვის შეფი რაინჰარდ გელენი, რომელიც ომის დროს მესამე რაიხის გენერალურ შტაბში მსახურობდა, თავის მემუარებში წერს: „ერთხელ მე და კანარისი (ადმირალი, 1935-1944 წლებში აბვერის — გერმანიის სამხედრო დაზვერვის შეფი) მივედით იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირს აქვს კარგად ინფორმირებული წყარო გერმანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის წრეებში. ჩვენ არაერთგზის, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დავადგინეთ, რომ მოწინააღმდეგე უმოკლეს ვადაში იტყობდა ხოლმე ყველა დეტალს იმ საუბრებზე, რომლებიც გერმანიის მმართველ წრეებში მიმდინარეობდა.

აქვე მინდა ფარდა ავხადო ერთ საიდუმლოს, რომელსაც ამდენი ხანია მალავდა საბჭოთა მხარე და რომელიც გასაღებია ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი საქმისა. ლაპარაკია იმ საბედისწერო როლზე, ომის უკანასკნელ წლებში რომ შეასრულა ჰიტლერის ნდობით აღჭურვილმა პირმა მარტინ ბორმანმა.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ბორმანი მუშაობდა საბჭოთა კავშირის ინფორმატორად და კონსულტანტად. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩვენ დავადგინეთ ის ფაქტი, რომ მხოლოდ ბორმანს ჰქონდა რუსული რადიოსადგური, რომელსაც არავინ აკონტროლებდა. ჩვენ ორივეს კარგად გვესმოდა ისიც, რომ ნაცისტური იერარქიის მიხედვით ჰიტლერის შემდეგ ყველაზე მაღალი თანამდებობის პირის თვალთვალი გამორიცხულია. ყოველგვარი წინდაუხედავი ნაბიჯი — ეს იქნებოდა ჩვენი გამოძიების დასასრული და ჩვენი აღსასრული.

რატომ ქნა ეს?

„**კანარისმა**“, — განაგრძობს რაინჰარდ გელენი, — გამაცნო თავისი ეჭვები და მოსაზრებები, და გამოიტანა დასკვნები ბორმანის გამცემლური საქმიანობის შესახებ. იგი არ გამორიცხავდა შანტაჟის შესაძლებლობას, მაგრამ მაინც ყველაზე სარწმუნოდ მიაჩნდა, რომ ბორმანს ეს აქნევინა უზომო პატივმოყვარეობამ და კომპლექსებმა, და, საბოლოო ანგარიშით, რაიხსლაიტერის წადილმა — დაეკავებინა ჰიტლერის ადგილი. ჩვენ კარგად ვიცოდით, რაოდენ მზაკვრულად აბეზღებდა ბორმანი. ეჭვიანად განეწყო ჰიტლერი თავისი მეტოქეების გერინგისა და ჰებელსისადმი.

ჩემი საკუთარი დასკვნები დადასტურდა 1946 წლის შემდეგ, როდესაც მომეცა შესაძლებლობა გამომეძებნა ჰიტლერის ბერლინის ბუნკერიდან ბორმანის იდუმალი გაქცევის, მისი გაუჩინარების გარემოებანი. საერთაშორისო პრესაში წარამარა იბეჭდება მტკიცებანი, რომ ბორმანი ცხოვრობს უღრან ჯუნგლში პარაგვაისა და არგენტინის შორის და მას ყორჩები იცავენ, მაგრამ ეს მტკიცებანი ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. 50-იან წლებში ორი ინფორმაციიდან, რომლებიც სამხედრო წყაროებიდან მივიღე, მე დავრწმუნდი, რომ მარტინ ბორმანი უმკაცრესი საიდუმლოების პირობებში ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში. როდესაც ბერლინი აიღეს, რაიხსლაიტერი ყოფილი საბჭოთა ჯარების მხარეზე გადავიდა და მოგვიანებით რუსეთში გარდაიცვალა.

ბერლინიდან — საბჭოთა ტანკით

მდუმარების ფარდა, რომლითაც ეს ვერსია იყო გარემოსილი სსრ კავშირში, პირველმა გაარღვია მწერალმა ბორის ტარტაკოვსკიმ, რომელმაც გამოსცა წიგნი „ვინ ხართ თქვენ, რაიხსლაიტერო ბორმან?“ თავები ამ წიგნიდან გამოაქვეყნა გამომცემლობა „ოტეჩესტვომ“.

და აი, ჩვენ შინ ვეწვიეთ ბატონ ტარტაკოვსკის.

— არის თუ არა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ მარტინ ბორმანი „ჩვენი კაცია“.

— პირდაპირი მტკიცებანი, დოკუმენტები, ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა: ჯერ ხომ არ გასულა საიდუმლოების 50-წლიანი ვადა. მაგრამ ადამიანთა ფსიქოლოგიური მომზადება მათი გამოქვეყნებისადმი აუცილებელია. სწორედ ამიტომ გამოსცეს „ორგანოებმა“ თავიანთ გამომცემლობაში ორი თავი რომანიდან ბროშურის სახით: „უშკომი. სამამულო დაზვერვის ისტორიიდან. მარტინ ბორმანი — საბჭოთა დაზვერვის აგენტი“.

— როდის გარდაიცვალა და სად არის დაკრძალული მარტინ ბორმანი?

— ერთხელ დაზვერვის ერთ-ერთ გენერალთან ერთად წავედი ლეფორტოვოში. ჩვენ გავაჩერეთ მანქანა ძველებურ გერმანულ სასაფლაოსთან, გადმოვედით და ხეივანს გავუყევით. და აი, მოულოდნელად, გენერალმა მიმიყვანა პატარა ბორცვთან, რომელშიც ჩასობილი იყო რკინის ფირფიტა „მარტინ ბორმანი. 1900-1973“.

— ჰქონდა ბორმანს ოჯახი, ჰყავდა შვილები?

— რამდენადაც ვიცი, გერმანიაში მას 11 შვილი დარჩა, აქ მარტო ცხოვრობდა და მასთან ვიღაც ქალი დადიოდა. არსებობს ცნობები, რომ ერთხანობას იგი დაპატიმრებული იყო და ფსევდონიმით ამყოფებდნენ ლეფორტოვოში.

— როდესაც ბორმანის ამბების ამსახველ წიგნზე მუშაობდით, ხომ არ შეხვედრიხართ იმ ადამიანებს, ვინც მას პირადად იცნობდა?

— რა თქმა უნდა. მაგალითად, სატანკო პოლკის ყოფილმა მეთაურმა მიამბო, როგორ გაიყვანეს იგი რაიხსკანცელარიიდან. ის დღესაც ცოცხალია. ეს ტანკისტი შინსახკომის გენერალ სეროვთან ერთად იჯდა მანქანაში და დაინახა, რომ რაიხკანცელარიიდან გამოიყვანეს თავზე ტომარაჩამოცმული კაცი და ფრთხილად ჩასვეს ტანკში: ეს იყო მარტინ ბორმანი. მე ვიცნობდი ჩეხოსლოვაკიის კონტრდაზვერვის უფროსს, რომელმაც მიამბო, რომ ომის დამთავრების შემდეგ სტალინმა ბენეშს აცნობა, ბორმანი ჩვენზე მუშაობდაო. არის სხვა ფაქტებიც.

— იქნებ, ჩემი ეს სიტყვები უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ გამოდის, რომ მარტინ ბორმანი გმირობაზე ყოფილა წარსადგენი?

— დარწმუნებული ვარ, ეს მოხდება, როდესაც გამოქვეყნდება ყველა დოკუმენტი. მე ბორმანი გმირად მიმაჩნია. იგი იყო იდეური მებრძოლი ფაშიზმის წინააღმდეგ.

(„რუსული პრესის დაიჯესტი“).

სიახლე რაიონში

ენერგიის ახალი წყარო

ახლახან თერჯოლის რაიონში მწყობრში ჩადგა მაღალი ძაბვის ელექტროქვესადგური, რომელმაც რაიონი ნაწილობრივ დააკმაყოფილა ელექტროენერგიით.

ახლო მომავალში საექსპლოატაციოდ გადაეცემა კიდევ 16-მეგავატიანი ელექტროქვესადგური, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს რაიონის ენერგომომარაგებას.

ჰენრი შარიქაძე.

მედიცინა

როგორ მოვიწესრიგოთ წნევა 5 წუთში?

სწორედ ასეთ შედეგს იძლევა „ზულამომზდარი სუნთქვა“, ანუ ისეთი, ადამიანს რომ უჩნდება ხოლმე ტირილის დროს.

როდესაც ტირით, ამოსუნთქვის დროს ჰაერი გამოდის სასუნთქი გზების, ხორხისა და მოკუმული ტუჩების დაჭიმულ კუნთებს შორის როგორც ვიწრო ხვრელში, დიდი დაძაბვით, შესუნთქვა კი შედარებით დიდხანს — 3-5 წამს გრძელდება.

სწორედ ასე უნდა გამოისუნთქოთ ჰაერი, რათა მოიწესრიგოთ (დაიგდოთ ან აიწიოთ) წნევა. ხოლო როდესაც ამოისუნთქავთ, კიდევ ერთ წამს იქონიეთ დაძაბული სასუნთქი გზების ყველა კუნთი. ამის შემდეგ, უცებ, ერთ წამში შეისუნთქეთ ჰაერი პირღიად. ამოსუნთქვის დროს, ბუნებრივია, ყველა კუნთი დუნდება: შესუნთქვა მთლიანად საკმაოდ ზერელეა, მისი სიღრმის ვარირება ხდება ორგანიზმის მოთხოვნილების შესაბამისად; უცებ რომ შეისუნთქავთ, მერე — კვლავ ხანგრძლივი ამოსუნთქვა კუნთების დაძაბვით.

ასეთი სუნთქვა იმით არის სასარგებლო, რომ ამ დროს ხდება ორგანიზმისათვის მაქსიმალურად შესაძლო ჟანგბადის მიწოდება ყველა კუნთისა და ორგანოსათვის, მხოლოდ ამ პირობით შეძლებენ ისინი შეითვისონ სისხლიდან მათი ნორმალური ცხოველქმედებისათვის საჭირო მკვებავი ნივთიერებანი.

„ნედელია“

ობივატელი

ობივატელი, რაც უნდა ნასწავლ-ნაკითხი იყოს, მაინც ობივატელია. ის ოქროს წყობილებაში რომ ჩასვა და ოქროს მთავრობა დაუყენო, მაინც ტუჩს აიბზუებს.

აქედან გამომდინარე, მას, რა თქმა უნდა, არც საბაზრო წყობილება (თვითონ ასე უწოდებს) მოსწონს. იგი მარტივად მსჯელობს: სოციალიზმის დროს საჭმელ-სასმელი და ჩასაცმელი თავსაყრელად გვქონდა, არც გაზზე ვფიქრობდით და არც შუქზე. ახლა მშიერ-მწყურვალები სიცივესა და სიბნელეში ვსხედვართ. „ზნაჩიტ“ (მისი საყვარელი ტერმინია) სოციალიზმი სჯობდა კაპიტალიზმს.

ასეთი მტკიცების შემდეგ ობივატელს, მოდი და, კაპიტალიზმი შეაყვარე. გაგონებაც არ უნდა. არადა, კაპიტალიზმი სოციალიზმთან შედარებით რომ სამოთხეა (ამაში უკვე ყველანი დავრწმუნდით), ამას მტკიცება სჭირდება? სხვას თავი დავანებოთ, მარტო რეფორმები რად ღირს.

კომუნისტების მეფობის პერიოდში რეფორმებთან ვინ მიგასუნინებდა. ახლა რეფორმები გვახრჩობს (ფასების რეფორმა, ფულად-საკრედიტო რეფორმა, ბანკების რეფორმა, საგადასახადო რეფორმა და ასე შემდეგ), მაგრამ ობივატელს ამის დანახვაც არ უნდა.

ვითომ ხუმრობით?!..

მიზეზი?

რეფორმებს რა თავში ვიხლი. მე რეფორმები კი არა, პირველ რიგში საჭმელ-სასმელი და ჩასაცმელი მინდაო.

ხედავთ, როგორ მსჯელობს?

ბნელი, გაუნათლებელი!

ობივატელი ყველაფერს (რეფორმებსაც) საკუთარი კუჭის საზომით აფასებს. იმასაც კი არ უწევს ანგარიშს, რომ რეფორმები ჩვენში ავტორიტეტული საერთაშორისო სტრუქტურების ხელშეწყობითა და რეკომენდაციებით ხორციელდება.

უფრო მეტიც. მას ისიც კი არ უნდა დაიჯეროს, რომ კაპიტალიზმს ვაშენებთ. თუ მართლა ვაშენებთ, კეთილი ინებეთ და ერთი კაპიტალისტი მაინც მაჩვენეთო.

ხედავთ, რას მოითხოვს?

ბნელი, გაუნათლებელი!

კაპიტალისტი მაჩვენეთო! მას უნდა, რომ საქართველოში მაინც და მაინც როკფელერები, მორგანები და ფორდები პარპაშობდნენ. რაღა დროს მორგანები და როკფელერებია (ისინი ამერიკაშიც დაივიწყეს), ახლა ბიზნესმენების დროა, ჩემო ბატონო, ისინი კი რამდენიც გნებავთ იმდენი გვყავს. წარმოიდგინეთ, იმდენი, რომ მთავრობასა და პარლამენტშიც კი შეაღწიეს.

ობივატელი მაინც ხელებს ასავსებს. ეგენი არ დამანახოთ, მაგათ მთელი საქართველო შეჭამეს, თუ რამ ქონება გვქონდა (ოქრო, სპილენძი, ფოლადი, ჯართი), საზღვარგარეთ გაზიდეს და დოლარებად აქციეს. ესეც არ იკმარეს, უცხოელები სამადლოდ თუ რამეს გადმოგვიგდებენ (ჰუმანიტარული დახმარება), იმასაც ეგენი ახრამუნებენო.

წარმოგიდგენიათ, რა ბრალდებებს უყენებს?

ბნელი, გაუნათლებელი!

იმდენიც არ იცის, რომ ბიზნესმენმა თუ არაფერი შეჭამა, ისე ბიზნესმენი ვერ გახდება! ჯერ უნდა სტომაქი ამოივსოს, ცხოვრებ-ქონება დააგროვოს და მერე მშენებლობა და წარმოება დაიწყოს.

სულსწრაფები!

თქვე დალოცვილებო, უცებ მოსკოვი არ აშენებულა და ამხელა საქართველო როგორ აშენდება?

უფრო მეტს გეტყვით. ერთ ჩვენებურ ობივატელს სადღაც ამოუკითხავს (თუ ჭორად გაუგია): იაპონიაში, ენერგეტიკის მინისტრის კაბინეტში, უზარმაზარი ჭაღი თურმე ელექტრომაგნიტით არის დაკიდებული. იმ შემთხვევაში თუ დენი გამოირთვება, ჭაღი ჩამოვარდება და მინისტრს თავზე დაეცემა.

ჰოდა, ობივატელი ასეთი ჭაღის დაკიდებას ჩვენთანაც მოითხოვს. იმას კი აღარ ფიქრობს:

ჭაღი საქართველომ რა თანხებით უნდა შეიძინოს?

ენერგეტიკის მინისტრი არ გვყავს და ჭაღს ეკონომიკის ან ფინანსთა მინისტრის კაბინეტში ხომ არ დავკიდებთ? (მათ არაფერი დაუშავებიათ).

იქნებ „საქენერგოს“ უფროსის კაბინეტში დავკიდოთ? კი ბატონო, მაგრამ მაშინ ყოველდღე ახალი უფროსის დანიშვნა დაგვჭირდება (ერთი ძლივს შევცვალეთ და ამდენი უფროსი სად მოვძებნოთ?).

ესეც არ იყოს, ისევ აზერბაიჯანი თუ მოგვეხმარება, თორემ დაკიდების მომენტში შეიძლება დენი გამოირთოს და ჭაღი დამკიდებელს დაეცეს.

ხედავთ, რამდენი სიფრთხილე გვმართებს, როცა უცხოელთა გამოცდილების ჩვენთან დანერგვას ვაპირებთ? ობივატელს კი არაფერი და არაფრის მოსმენა არ სურს!

რას იზამ, ობივატელი ხომ სწორედ ამიტომ არის ობივატელი.

ოთარ ხუციშვილი.

ჭადრაკი

ზუსტ სვლებს ვერ მიაგნო...

სანქტ-პეტერბურგში ეტყობა, ვადამდე შეწყდება მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ ქალთა — მაია ჩიბურდანიძისა და ჟუჟა პოლგარის — ფინალური მატჩი. თეთრებით მეექვსე პარტიის წაგების შემდეგ ქართველი დიდოსტატის მდგომარეობა კრიზისული გახდა — 1,5:4,5. არადა, სადებიუტო სიახლის გამოყენებით ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი მეტოქეს საშამათო ქსელში ახვევდა. საოცარია, რომ მან ამ გზას, უფრო სწორად ორიოდე ზუსტ სვლას ვერ მიაგნო... ამ დასანანი წაგების შემდეგ, მაიას საერთო მარცხისაგან ალბათ სასწაული თუღა იხსნის.

ამრიგად, საბოლოო გამარჯვებისათვის პოლგარს დარჩენილ ოთხი პარტიაში სულ ერთი ქულა სჭირდება. წუხელ გვიან ღამით დასრულდა შეხვედრის მეშვიდე პარტია, რომელშიც თეთრებით ჟუჟა პოლგარი თამაშობდა.

ნინო ზუროშვილი.

სეზონის სტარტზე

კოშიცეში გაიმართა სლოვაკეთისა და რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. სტუმართა კარში ორივე ბურთი მადრიდის „რეალში“ მოთამაშე დუბოვსკიმ გაიტანა.

პრესტიჟის გოლის ავტორია კარპინი.



გოლი! ვარლამ ბენდიურის ფოტო.

ჭაშნიკი

მხოლოდ ენთუზიაზმით...

ჩვენი კოლეგა — ხათუნა მუმბურიძე 22 წლისაა, 1990 წელს დაამთავრა დედაქალაქის 51-ე საშუალო სკოლა და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო. გასაკვირი არ არის, რომ მოქმედ სპორტსმენს (იგი საქართველოს რვაგზის ჩემპიონია რაპირით ფარიკაობაში) სპორტული ჟურნალისტობა გადაუწყვეტია. დღეს გთავაზობთ მის პირველ პუბლიკაციას — ინტერვიუს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდის —„თორსის“ მთავარ მწვრთნელთან გურამ მინაშვილთან. ვიმედოვნებთ, რომ ამ საუბრიდან გულშემატკივრები ბევრ საგულისხმოს შეიტყობენ. თავად ჩემპიონატი ამ დღეებში განახლდება — მეორე ტურს ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზი უმასპინძლებს.

— ეროვნული ჩემპიონატის II ტურის წინ არის რაიმე ცვლილება გუნდის შემადგენლობაში?

— დღეისათვის გუნდის შემადგენლობა ძირითადად იგივეა, თუ არ ჩავთვლით გუნდის კაპიტნის არაკლი თორთლაძის ტრავმას, რის გამოც, იგი ამ ტურში ვერ ითამაშებს.

—სპონსორის საკითხი თუ გადაიჭრა?

— სპონსორის საკითხი, სამწუხაროდ, ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. დამოკიდებული ვართ მხოლოდ ენთუზიაზმზე.

— რა სირთულეები გაქვთ საწვრთნელ პროცესში?

— როგორც ყველა სფეროში, ასევე ჩვენც ბევრი პრობლემა გვაქვს. ვარჯიშის ხარისხზე, რა თქმა უნდა, მოქმედებს სიცივე დარბაზში, უშხაპობა, უტრანსპორტობა.... მაგრამ, ყველანაირი გაჭირვების მიუხედავად, მთელი ზამთრის განმავლობაში ვარჯიში არ შეგვიწყვეტია.

— ხართ თუ არა კმაყოფილი გუნდის დისციპლინით?

— ამ მხრივ სამდურავი არ მეთქმის. ბიჭებს არანაირი წახალისება არა აქვთ და მაინც თავდაუზოგავად ვარჯიშობენ.

— ჩემპიონატის თქვენეული პროგნოზი (პრიზიორთა თანამიმდევრობა).

— ვინაიდან ზოგიერთმა მოთამაშემ შეიძლება დატოვოს გუნდები და ჯერჯერობით უცნობია თუ რა შემადგენლობით ითამაშებს ესა თუ ის კოლექტივი, პროგნოზის გაკეთება რთულია, მაგრამ ჩემი აზრით, პრიზიორთა თანამიმდევრობა შემდეგნაირი იქნება: I ადგილი — „კაქტუსი“, II — „ვითა“, III — „დინამო“.

— თქვენს გუნდში ვის თვლით ლიდერებად?

— ჩვენი გუნდი პერსპექტიული კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული. შემიძლია გამოვყო გიორგი ჩხეიძისა და ლევან ქევხიშვილის თამაში. ასევე დიდ იმედს ვამყარებთ წლევანდელ ჩემპიონატში მონაწილე ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელ ზვიად მიქაძეზე, რომელიც მხოლოდ 15 წლისაა.

— ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა თუ გეხმარებათ?

— ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს ჩვენს დასახმარებლად, რა თქმა უნდა, შესაძლებლობების ფარგლებში. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იანვრიდან, უსპონსორობის გამო, რექტორატთან შეთანხმების შემდეგ შევქმენით სასპორტო კლუბების ასოციაცია: ამ ასოციაციამ გახსნა ქვეანგარიში ბანკში, სადაც ირიცხება სპორტული ნაგებობებიდან შემოსული თანხა. იმედია, ამით გარკვეულად მაინც შევუმსუბუქებთ სპორტსმენებს პირობებს.

— თქვენი აზრი ჩემპიონატის ფორმულაზე და მსაჯობაზე.

— თუ გუნდების რაოდენობა ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით არ შემცირდა, ფორმულა კარგია. ეს შარშანდელმა ჩემპიონატმაც დაგვანახა. რაც შეეხება მსაჯობას, აქ უკვე პრობლემებს ვაწყდებით. საგრძნობლად დაეცა მსაჯობის დონე. გამოცდილ არბიტრებს აღარ აკმაყოფილებთ ანაზღაურება და მსაჯობაზე თავს იკავებენ. აგრეთვე, ცნობილია, რომ ჩვენმა საუკეთესო მსაჯებმა გოგი ავალიშვილმა და მურმან ქურიძემ მიატოვეს ასპარეზი, როგორც ამბობენ, მოთამაშეთა უდისციპლინობის გამო. ძალიან გულსატკენია, რომ ეს ასე მოხდა. ისინი სწორედ დღეს, როგორც არასდროს, სჭირდება ქართულ კალათბურთს.

— რომელი გუნდები მიგაჩნიათ საუკეთესო ექვსეულში თქვენს კონკურენტებად?

— ახლა ჩვენ მეექვსე ადგილზე ვართ. მთავარ კონკურენტებად ვთვლით „მერანს“, რუსთავის „აზოტსა“ და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს.

— რას ფიქრობთ საქართველოს ნაკრები გუნდის შანსებზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში?

— პირველ შესარჩევ ეტაპზე მათ საკმაო შანსი აქვთ აჩვენონ კარგი თამაში. რაც მთავარია, ეს მატჩები მკვეთრად ამაღლებენ კალათბურთელთა ოსტატობას.

ხსოვნა

გაბრიელ ჯოგავა

მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, დამსახურებული ეკონომისტი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი გაბრიელ სოკრატეს ძე ჯოგავა.

ამ პიროვნებას კარგად იცნობს ჩვენი რესპუბლიკის საფინანსო სამსახურის ძველი და ახალი თაობა. თითქმის ოთხ ათეულ წელიწადს მუშაობდა ამ დარგში. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ფინანსთა სახალხო კომისარიატის აპარატში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ომში, რისთვისაც ორდენით და მედლებით დაბრუნდა შინ ვალმოხდილი. ხარკვეულ პერიოდში მუშაობდა სხვადასხვა სისტემაში, მაგრამ კვლავ დაუბრუნდა საფინანსო ორგანოებს, ჩვეული ერთგულებით და მთელი პასუხისმგებლობით ემსახურა მას 1984 წლამდე, ადრე მიღებულ ჯილდოებს სხვაც დაემატა.

ბატონ გაბრიელ ჯოგავას დიდი ღვაწლი მიუძღვის საფინანსო-საკასო დისციპლინის განმტკიცების საქმეში, ის ყოველთვის გამოირჩეოდა საქმის ღრმა ცოდნით, ერთგულებით, პასუხისმგებლობით და პატიოსნებით. წავიდა ჩვენგან მართალი, უპრეტენზიო, საქმეზე შეყვარებული სპეციალისტი, ღირსეული მოქალაქე და დაგვიტოვა ნათელი ხსოვნა. დიდხანს გაგვყვება მისი წასვლით გამოწვეული გულისტკივილი და არასოდეს მიეცემა დავიწყებას კარგი ადამიანის და მეგობრის ნათელი სახე.

მარადიული ხსოვნა აწ უკვე მარადიულობაში გარდასულ ღირსეულ მამულიშვილს.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო.

ყურადღება!

ვაქვეყნებთ იმ მოქალაქეთა მონაცემებს, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიმართეს განცხადებით საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე:

1. **პეტრე მიხეილის ძე ზიმინი**, მცხ. ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში, სახლი 97/4, ბინა № 22.
2. **ანა ნიკიტას ასული ზიმინა**, მცხ. ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში, სახლი 97/4, ბინა № 22.
3. **ირინა ევგენის ასული შუმსკაია**, მცხ. ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-4 მ/რ, კორპ. 9^2, ბინა № 164.
4. **შალვა დიმიტრის ძე ჩემია**, მცხ. ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის ქ. № 4.
5. **რაფაელ ხაჩიკის ძე არუთინოვი**, მცხ. ქ. თბილისში, ნიაბის მე-2 შესახვევი № 7.
6. **ნატალია ანდრიის ასული კაზაროვა**, მცხ. ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. № 72.
7. **შალვა პავლეს ძე ჩარგაძე**, მცხ. ქ. თბილისში, გლდანის 1-ლი მ/რ, კორ. 17, ბინა № 10.

მოქალაქეებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ორგანოებს, რომელთა მიმართ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის მსურველ პირს აქვს ქონებრივი ვალდებულებანი ან შეუსრულებელი მოვალეობები, ვთხოვთ, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში მიმართონ იუსტიციის სამინისტროს და წარმოადგინონ აღნიშნული დამადასტურებელი დოკუმენტი, ხელშეკრულება, სასამართლოს გადაწყვეტილება, სააღსრულებლო ფურცელი და სხვა.

მისამართი: 380092, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი № 30, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველო. ტელ.: 99.67.98, 99.08.44, 99.05.23, 93.42.91.

პეტრე მელიქიშვილის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის უნდა მიმართოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებას: ***რუსთაველის გამზირი, № 52, ოთახი 422, ტელ. 99-54-80.***

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას: რუსთაველის პროსპექტი, № 52, ოთახი 424, ტელ.: 99-56-21.

დამოუკიდებელ აუდიტორულ-საკონსულტაციო ფირმა „ჭეშმარიტება“

გთავაზობთ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სამეწარმეო საქმიანობის საბუღალტრო აუდიტორულ შესწავლა-შემოწმებას და აუდიტური დასკვნების მომზადებას, ექსპერტიზებსა და საკონსულტაციო მომსახურებას.

მისამართი — ყაზბეგის 12 (საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის შენობაში, ოთახები 511-512).

ტელეფონები — 36-51-98; 36-50-18.

დავიწყებული ანეკდოტები

ერევნის რადიო:

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

შეიძლება თუ არა ხელფასზე ცხოვრება?

— ვისაც შეუძლია პასუხის გაცემა, ის უკვე აღარ ცხოვრობს.

* * *

— შეიძლება თუ არა სირბილის დროს ქალის გაუპატიურება?

— არა, რადგან კაბააწეული სირბილი ადვილია, შარვალჩაწეული — ძნელია.

* * *

— რა არის ეროტიკა?

— იგივე პორნოგრაფიაა, რომელსაც შეუძლია წესიერების ჩარჩოებში ჩაეტიოს.

კულინარის რჩევა

ვეგეტარიანული სადილი გემრიელი რომ გახდეს, დაუმატეთ მწვადი და ღვინო, გემოვნებისა და მადის მიხედვით.

მარადიული თემა

— კვერცხი იყო ადრე თუ ქათამი?

— ადრე ყველაფერი იყო.

ოჯახი — ერის ბურჯი...

— არის განსხვავება ქმარსა და დირექტორს შორის?

— არის. დირექტორი თავის მოადგილეს იცნობს, ქმარი —არა.

* * *

ქმარი საყვარლის მოადგილეა მომარაგების დარგში.

ცოლი ჩემოდანია, რომლის გადაგდება გენანება, სატარებლად კი მძიმეა.

საბაზრო ეკონომიკაში გამოგადგებათ

— რა არის დისციპლინა?

— ხელოვნება — იყო საკუთარ უფროსზე მეტად სულელი.

ალტერნატიული დასკვნები

ბანჯგვლიანი მამაკაცი ან უკანასკნელი მაიმუნია, ან პირველი ადამიანი.

* * *

სულელობას მელოტობა სჯობს, რადგან პირველი თვალში არავის ეცემა.

სიყვარულის ძალა

— ზოგიერთი ქალი არ ატარებს სამკაულებს, რატომ?

— იმიტომ, რომ სიყვარულით გათხოვდა.

ეჭვი

— ეღალატა ევამ ადამს?

— დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ ადამიანი მაიმუნისგან რომ წარმოიშვა, ფაქტია.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66134